საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რიგიერიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბეჭთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 23 დეკემბერი. 2016 წ. №240 (8132), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის საფრთხე ③

ROCA თქმა სჯობს არათქმასა...

მიხეილ ჯიბუტი:

საქართველოს ეკონომიკა ხელისუფლებამ მოლიპულ გზაზე შეაყენა! ④

საპარლამენტო უმრავლესობა ჯერ „პოლიტიკური პირველკლასელია“ და მან გუნდური ლოიალობით ყველაფერს მხარი დაუჭირა, რაც მთავრობამ წარმოადგინა. მან არ გამოიყენა ის საშუალებები (საჯაროობა, სპეციალისტების, ოპოზიციის მოსაზრება და სხვ.), რაც საშუალებას იძლევა ხელისუფლების ერთმა შტომ (მთავრობამ – ფულის მხარჯავმა) „არ გააცუროს“ მეორე შტო (საკანონმდებლო – პარლამენტი) ამ ფულის ხარჯვაზე ნებართვის მიღების დროს.

ᲙᲐᲮᲘ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲡ ③

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲒᲖᲐᲛᲙᲕᲚᲔᲕᲘ PETIT FUTE ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ფრანგული ტურისტული გზამკვლევი Petit Fute საქართველოს შესახებ ახალ რუბრიკას ამზადებს. მასალის მოსამზადებლად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ Petit Fute-ს პუბლიცისტს მატიო ბარონს უმასპინძლა.

ცნობილ ტურისტულ გამოცემასთან ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია თითქმის 10წელია, თანამშრომლობს. გზამკვლევი Petit Fute საქართველოს შესახებ ინფორმაციას ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ანახლებს. გამოცემას აქვს ციფრული ვერსია და მისი გამოყენება შეიძლება ასევე აპლიკაციის საშუალებით სმარტფონებსა და პლანშეტებში. აღსანიშნავია, რომ გზამკვლევი საფრანგეთის გარდა ასევე ხელმისაწვდომია კანადაში, ბელგიაში, შვეიცარიასა და სხვა ქვეყნებში. ფრანგულ გამოცემაში 2017 წელს ქართული ღვინის და ღვინის ტურიზმის შესახებ ინფორმაცია პირველად განთავსდება.

ᲕᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲖᲔ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲮᲔᲔᲑᲘᲡ ᲭᲠᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ?.. ⑧

ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 53 ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ 4 ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ⑪

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲝᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲛᲐ პლენარულ სხდომაზე „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმების პროექტი დაამტკიცა. პროცედურის თანახმად, ევროკავშირის საბჭო უფლებამოსილებას გასცემს ევროპოლის დირექტორზე, რომელიც უახლოეს მომავალში საქართველოში შეთანხმებაზე ხელმოწერის მიზნით ჩამოვა.

ევროპოლთან აღნიშნული შეთანხმების გაფორმებაზე საქართველოს შსს ინტენსიურად მუშაობდა. 2015 წლის ივნისში ევროპოლის ექსპერტებმა საქართველოში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვის ხარისხი შეაფასეს და იმავე წლის დეკემბერში დადებითი დასკვნა მიიღეს. დასკვნის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულად აკმაყოფილებს ევროპოლის სტანდარტებს პერსონალური მონაცემების დაცვის თვალსაზრისით.

აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა გახდება და ევროპის პოლიციის სამსახურთან, როგორც ოპერატიული, ასევე, არაოპერატიული მიმართულებებით ითანამშრომლებს. შეთანხმების თანახმად, საქართველოს შსს მონაწილეობას მიიღებს ევროპოლის ფარგლებში ორგანიზებულ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში, ევროპის პოლიციის სამსახურთან უსაფრთხო არხის მეშვეობით გაცვლის ოპერატიულ ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს, ევროპოლისგან მიიღებს ანალიზზე დაფუძნებულ მნიშვნელოვან საპოლიციო ინფორმაციას, ასევე, ევროპოლის შტაბ-ბინაში წარგზავნის მეკავშირე ოფიცერს, რომელიც ევროპის პოლიციის სამსახურთან მჭიდრო და ეფექტური კავშირების დამყარებას უზრუნველყოფს.

მსგავსი მაღალი დონის შეთანხმება ევროპოლს გაფორმებული აქვს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა, აშშ, კანადა, ავსტრალია, ნორვეგია, შვეიცარია, ისლანდია და სხვა.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲨᲘ ᲔᲭᲕᲛᲘᲢᲐᲜᲘᲚᲡ ᲔᲫᲔᲑᲡ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ბერლინის ტერაქტში ეჭვმიტანილს ეძებენ. მთავრობამ მის დაკავებაზე 100 ათასი ევროს ოდენობით ჯილდო დააწესა. როგორც ირკვევა, 24 წლის ტუნისის მოქალაქე ანის ამრი პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ რამდენიმე თვის განმავლობაში იმყოფებოდა. ის წვრილმანი დანაშაულების ჩადენაში იყო ეჭვმიტანილი. აფრიკა ამრიმ 7 წლის წინათ დატოვა, რის შემდეგაც 5-წლიან სასჯელს იტალიაში იხდიდა. გერმანიაში ის ერთი წლის წინათ ჩავიდა. გერმანიის უშიშროების სამსახურს ამრი პოტენციურად საშიშ პირთა სიაში ჰყავდა შეყვანილი.

ზამთრის სეზონის განმავლობაში შეფერხებები არ უნდა იყოს!

გააკეთეთ მაქსიმალურად ყველაფერი, რათა შეფერხებები არ იყოს ზამთრის სეზონის განმავლობაში – ამგვარი დავალება მისცა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ზურაბ ალავიძეს გუშინ მთავრობის სხდომის დაწყების წინ. მისი განმარტებით, ქვეყანაში ტურისტების მოზიდვა პირდაპირ აისახება საქართველოს მოქალაქეების შემოსავლებზე, ქვეყნის ეკონომიკაზე, ამიტომ, ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა უამინდობის გამო არ შეიქმნას გზებზე გადაადგილების პრობლემა ან სხვა სახის სირთულე.

„ჩვენ ზამთრის ტურისტული სეზონის ახალ ფაზაში შევდივართ - უახლოეს დღეებში იხსნება ახალი საბაგირო გუდაურში, მიტარბის ახალი საბაგირო, ასევე ახალი საბაგირო თეთნულდზე. მინდა, ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრს დავავალო - რა თქმა უნდა, მე ვიცი, რომ თქვენ ძალიან ბევრს მუშაობთ მომავალი რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მაგრამ ზამთრის სეზონზე არის ხოლმე ხშირი შეფერხებები უამინდობის გამო. მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გააკეთოთ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად, რათა არანაირი შეფერხება არ ჰქონდეთ უცხოელ ტურისტებს და ადგილობრივ დამსვენებლებს. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან თითოეული დამსვენებელი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი, აისახება ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, განსაკუთრებით მთაში მაცხოვრებელი ოჯახების ეკონომიკურ მდგომარეობაზე და არა მხოლოდ. ეს არის უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც მუშაობს არა მხოლოდ მთის განვითარებაზე, არამედ ქვეყნის განვითარებაზე,“ – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პოლიტიკური ბედის ირონია

ნაციონალები იმას ითხოვენ, რასაც ადრე თავად უარყოფდნენ

„ძართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავსად მინისტრების დაცვას ცდილობს და როგორც ჩანს, „წარსულის გაკვეთილებს“ არ ითვალისწინებს. საქმე ისაა, რომ უმცირესობა საკანონმდებლო ორგანოში ეკონომიკური დარგის მინისტრებს იბარებს, უმრავლესობა კი, პარლამენტში მთავრობის მისვლის საჭიროებას ვერ ხედავს. ანუ, ისტორია მეორდება.

მეშვიდე მოწვევის პარლამენტში, ანუ დავით ბაქრაძის სპიკერობის დროს, მაშინდელი ოპოზიცია უწყებაში ძალოვან მინისტრებს იბარებდა, რომლებიც უკეთეს შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოში მოადგილეებს გზავნიდნენ, უარეს შემთხვევაში კი, უწყებაში თავად მთავრობის დამტკიცების დროსაც კი არ ცხადდებოდნენ.

როგორც წლების წინათ, ასევე ახლაც, მინისტრებს ხელს ისევ უმრავლესობის წევრები აფარებენ, რითაც მათ ნებსით თუ უნებლიეთ, „დათვურ სამსახურს“ უწევენ და საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ.

ერთია, „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში ეკონომიკური დარგის მინისტრების მისვლა რა პოლიტიკური მიზნისთვის სჭირდება, მაგრამ მეორე უმრავლესობის დამოკიდებულებაა, რომელიც ლარის კურსის მკვეთრ გაუფასურებას ამჩნევს, მაგრამ ამავდროულად, რეგიონში არსებულ ვითარებაზე აპელირებს და მთავრობას ეკონომიკურ პროცესებზე ადეკვატურ რეაგირებას არ სთხოვს.

უმრავლესობა ირწმუნება, რომ თუკი ლარის გაუფასურება გაგრძელდება, პარლამენტში ეკონომიკური დარგის მინისტრებს დაიბარებს, მაგრამ იმ შემთხვევაში თუკი, მათი მხრიდან მწვავე კითხვების დასმის ნაცვლად, კვლავ მინისტრების საქმიანობის დაცვა მოხდება, მაშინ საკანონმდებლო ორგანოში მოწყობილ „პურს და სანახაობას“ რა აზრი აქვს? – მეცხრე მოწვევის პარლამენტში, ეს საზოგადოებამ მაშინ იხილა, როცა ფინანსთა მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის გამოსვლა მოისმინა, რომელიც იმას ეხებოდა, რომ თურმე, სვანეთში, სუვენირების ერთ-ერთ გამყიდველს „ბღუჯა“ ფული ჰქონდა.

სანამ ლარი გაუფასურებას გაგრძელებს და უმრავლესობაც მინისტრების პარლამენტში მოწვევას არ ჩქარობს, მანამდე უმცირესობა მოსალოდნელ პრობლემებზე აქცენტირებს და ხელისუფლებას გონზე მოსვლისკენ მოუწოდებს.

რაც შეეხება მთავრობის განწყობას, ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე პარლამენტში ეკონომიკური გუნდის მისვლის აუცილებლობას ვერ ხედავს, თუმცა ამავე დროს მზაობას გამოთქვამს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ყველა კითხვას პასუხი გასცეს. მისი თქმით, გასული კვირის განმავლობაში, შეხვედრები გაიმართა როგორც უმრავლესობასთან, ასევე უმცირესობასთანაც.

„ამიტომ, დიდ შინაარსს ამ შეხვედრისას ვერ ვხედავ, თუმცა მზად ვართ, ყველა კითხვას პასუხი გავცეთ“, – დასძენს კაკაურიძე, რომლის თაობაზეც ამბობენ, ფინანსთა სამინისტროში ბევრს მუშაობს, მაგრამ ყველაზე მეტად ოპოზიცია მას აკრიტიკებს, რადგან პარლამენტში ხშირად მისვლა მინისტრის ნაცვლად სწორედ მას უწევს.

თეონა მანაგაძე

საახალწლოდ მინისტრები და დეპარტამენტის უფროსები პრემიებს ვერ მიიღებენ!

სახელმწიფო უწყებებში საახალწლო პრემიები მინისტრებისა და დეპარტამენტის უფროსებისთვის არ არის გათვალისწინებული, – ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

„ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ სანამ კერძო სექტორში არ შეიქმნება კონკრეტული სამუშაო ადგილები, რთულია, შევამციროთ შტატები. ეს ძალიან დიდი პრობლემაა. მიუხედავად ამისა სამინისტროები ცდილობენ, რომ კონკრეტული ადამიანები არ დაითხოვონ და შეამცირონ ხარჯები. მაგალითად პრემიები ამ საახალწლოდ გაიცემა მხოლოდ დაბალ რგოლზე და მინისტრი და დეპარტამენტის უფროსისთვის არაა გათვალისწინებული. შემცირდება ხარჯები საწვავზე, მივლინებებზე, მანქანებზე, მაგრამ მაინც ხდება ის, რომ ეს გარკვეულ ადამიანებს შეეხება და ეს ძალიან სამწუხაროა“, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.

ჩამორიცხულია ევროკავშირის გრანტი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, სახაზინო სამსახურის ხელმძღვანელის ცოტნე ყავლაშვილის განცხადებით, ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა მიმდინარე წლის ბიუჯეტის 11 თვის შესრულების საბოლოო პარამეტრები, რაც მნიშვნელოვნად მეტყველებს ბიუჯეტის თანაბარ ხარჯვაზე.

„ამდენად, ჩვენთვის გაუგებარია ოპონენტების ბრალდებები ამ მიმართულებით. 2015 წლის დეკემბერში წლიურ პარამეტრთან მიმართებაში ბიუჯეტის ხარჯვა 12,5 პროცენტს შეადგენდა და მაშინ ყველამ აღიარა, რომ 2015 წელი იყო გამორჩეული ბიუჯეტის თანაბარზომიერი ხარჯვით. ამ კუთხით, ჩვენ 2016 წელს უკეთესი მდგომარეობა გვაქვს,“ – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ.

მისი თქმით, მიმდინარე წლის 11 თვის მონაცემებით, ხარჯების მიმართულებით შესრულების მაჩვენებელი 89-პროცენტიანია. მინისტრის მოადგილის განცხადებით ამ კუთხით შესრულების მაჩვენებელი 2016 წლის დეკემბერშიც უკეთესი იქნება გასულ წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

„მნიშვნელოვანი გადაჭარბება გვაქვს საგადასახადო შემოსავლების კუთხით. დეკემბერში უკვე მიღებული გვაქვს დაფინანსება საგარეო წყაროებიდან. როგორც ცნობილია, აზიის განვითარების ბანკიდან ჩვენ მივიღეთ საბიუჯეტო დაფინანსება 258 მლნ ლარის ოდენობით. დღეს, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე ჩამორიცხულია ევროკავშირის გრანტი 6 მილიონი ევროს ოდენობით. ჯამში, დეკემბერში ევროკავშირისგან ველოდებით საბიუჯეტო გრანტებს 100 მლნ ლარის ოდენობით. ამდენად, ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარია ოპონენტების კომენტარები ბიუჯეტზე, რომელიც დაგეგმილია, გაწერილია და შესრულდება ყველა გეგმიური პარამეტრის მიმართულებით,“ – აღნიშნა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ, ცოტნე ყავლაშვილმა.

აშშ-სთან 22,5 მლნ დოლარის საგრანტო შეთანხმებები გაფორმდა

საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და კავკასიაში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორმა დუგლას ბოლმა ხელი მოაწერეს სამ საგრანტო შეთანხმებას.

ხელმოწერილი შეთანხმებებით ცვლილება შევიდა ადრე გაფორმებულ ხელშეკრულებებში და საგრანტო თანხა დაახლოებით 22,5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.

შეთანხმებები მოიცავს საქართველოსთვის ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორიცაა „ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა“, „დემოკრატიული კონტროლი და ბალანსი და ანგარიშვალდებული მმართველობა“ და მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება“.

შეთანხმებების ფარგლებში დაგეგმილია აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება ბიზნეს-სტანდარტების საყოველთაო დანერგვისა და სხვადასხვა სექტორში კონკურენტუნარიანობის გაზრდისათვის, საქართველოს ბუნებრივი რესურსების ეფექტურად მართვისა და ბაზარზე ორიენტირებული სამუშაო ადგილების შექმნისათვის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მზარდი ინტეგრაციისა და ჩართულობის და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის.

ბრიტანელმა ექსპერტმა საქმიან ტურიზმთან (MICE) დაკავშირებული სამუშაო შეხვედრები გამართა

თბილისსა და ბათუმში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს ორგანიზებით გაიმართა საქმიანი ტურიზმთან (MICE) დაკავშირებული სამუშაო შეხვედრები, რომელთაც ბრიტანელი ექსპერტი ჰარი ფაინი (Harry Fine) უძღვებოდა. ქალაქებში გამართულ შეხვედრებს საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ჰარი ფაინმა კერძო სექტორის წარმომადგენლებს გააცნო საქმიანი ტურიზმის სფეროში არსებული ტენდენციები და მიმართულებები, განხილულ იქნა სექტორის მნიშვნელობა და საქართველოს უპირატესი მხარეები, საუბარი ასევე შეეხო საკონვენციო ბიუროების როლს სექტორის განვითარების თვალსაზრისით. ვიზიტის განმავლობაში ბრიტანელი ექსპერტი ასევე გაეცნო ადგილობრივ დონეზე არსებულ პოტენციალსა და რესურსებს, მათ შორის, მოინახულა სხვადასხვა განთავსების ობიექტი და საგამოფენო ცენტრი „Expo-Georgia“.

კახი კალაძე ტარიფების მატებას გამორიცხავს

ENERGETIKIS მინისტრი და ვიცე-პრემიერი კახი კალაძე ამ ეტაპზე ელექტროენერგიაზე ტარიფების გაზრდას გამორიცხავს. როგორც მინისტრი აცხადებს, გარკვეული მიმართულებით მოხდა ტარიფების მატება „თბოსადგურების“ ტარიფებზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქეები ელექტროენერგიაზე გაძვირებულ გადასახადს გადაიხდიან.

„ტარიფებს ადგენს მარეგულირებელი კომისია და სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით გუშინ მათ გააკეთეს განცხადება და დღევანდელი გადმოსახედიდან, ელექტროენერგიაზე ტარიფების მატება არ იქნება. ასევე განიხილეს „თბოსადგურის“ ტარიფები, გარკვეული მიმართულებით მოხდა ტარიფების მატება „თბოსადგურების“ ტარიფებზე, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოქალაქე ელექტროენერგიაზე გადაიხდის გაძვირებულ გადასახადებს. ასე რომ, თუ იქნება იმის აუცილებლობა,რომ კურსიდან გამომდინარე ტარიფები გადაიხედოს, გულწრფელად გეუბნებით, ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც ამასთან დაკავშირებით გააკეთებს განცხადებას. დღეს ამის აუცილებლობა არ არის და ყველას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ აბსურდული და არასერიოზული განცხადებებისგან“, — განაცხადა კახი კალაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

დიახ, ვთვლი ბალასტად ადამიანებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ პოლიციელის მუნდირს

შს სამინისტროში დაგეგმილ შემცირებებსა და ამ საკითხზე კომენტარისას სიტყვა „ბალასტის“ ხსენებაზე განმარტებებს აკეთებს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი.

მისი თქმით, პოლიციაში 40 ათასი კადრია და მათ შორის შესაძლოა იყოს ,,ვინმე ბალასტი“ .

„გუშინ არასწორი ინტერპრეტაცია გაკეთდა ჩემს ნათქვამზე, დიახ, მე ვიხმარე სიტყვა ბალასტი და ვთვლი ბალასტად ადამიანებს, რომლებიც ჩირქს სცხებენ პოლიციელის მუნდირს“, — აცხადებს შს მინისტრი.

მინისტრმა, პოლიციელებს რომლებსაც სავარაუდოდ შემცირება შეეხება ,,ბალასტი“ უწოდა, რამაც სოციალურ ქსელებში და ზოგადად საზოგადოებაში გაღიაზენება გამოიწვია.

ჯანდაცვის სამინისტროში დიდი შემოწმებები იწყება

ჯანდაცვის სამინისტროში ახალი სამსახური იქმნება, რომელიც თანამშრომელთა მუშაობის მონიტორინგს განახორციელებს და სწორედ ამ სამსახურის შეფასების შედეგად გაეზრდება ან შეუმცირდება ანაზღაურება თანამშრომელთა ნაწილს. განცხადება ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა გააკეთა:

„ახალ ბიუჯეტთან დაკავშირებით ჩვენი პირველადი ამოცანა არ არის, რომ დავიწყოთ კადრების შემცირება. ჯანდაცვის სამინისტროს ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა ექნება გასატარებელი. ჩვენ ვქმნით, ვააქტიურებთ ახალ სამსახურს, რომლის ამოცანა იქნება თანამშრომელთა მუშაობის მონიტორინგი, რაოდენობრივი შეფასება და მე ვფიქრობ, რომ მინუს 10%-იანი ჯამური სახელფასო ანაზღაურების შემცირება არათანაბრად გადანაწილდება. მასზე, ვინც უფრო მაღალ შედეგს დადებს, არამც თუ არ იმოქმედებს, არამედ უფრო მაღალ ანაზღაურებას მიიღებს და პირიქით, ანუ ამოცანა არის მუშაობის ეფექტურობის მიხედვით ხელფასის სამართლიანი გადანაწილება და არა რუტინული მინუს 10% ან მიზანმიმართული შემცირებები“, — განაცხადა დავით სერგეენკომ მთავრობის დღევანდელი სხდომის დასრულების შემდეგ.

◎ ნაადრევი ტაშ-ფანდური

ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის საფრთხე

თუ რაიმე დიდი მოულოდნელობა და კატასტროფა არ მოხდა, უკვე გაზაფხულზე ევროკავშირი დაასრულებს საქართველოსთან უვიზო რეჟიმის შემოღების პროცედურებს. ფაქტიურად, მხოლოდ ფორმალობები რჩება, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი და არსებითი ფორმალობანი, რომლებიც ევროპარლამენტისა და ევროკომისიის ურთიერთქმედების წესდებებშია გაწერილი. მათი დაცვის გარეშე პროცედურა მაინც ვერ დასრულდება. ოღონდ, რაკი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია, როგორც ჩანს, „ვიზალიბერალიზაცია“ უკვე მართლაც მხოლოდ დროის საქმეა.

საქართველოში ამ მომენტისთვის დიდი ზარ-ზეიმით ემზადებიან. მათ შორის ხელისუფალნი და მთელი პოლიტელიტა — „მთავარი ოპოზიციური ძალის ჩათვლით“. მხოლოდ იმაზე კამათობენ, ვისი დამსახურებაა და ვის უნდა ჩაეწეროს „სამომავლო ქულად“, თორემ უდიდესი სიკეთე რომაა, ამაზე არც არავინ დავობს.

ARADA, „SIKETE“ DA „ISTORIULI MIRWEVA“ KI ARA, EVROKAVSHIRTAN E.W. „UVIZO REJIMMA“ SESAZLOA ISETI KATASTROFULI SEDEGI GAMOILOS QVEYNIS PRODASAVLURI ORIENTACIISATVIS, ROM SAQARTVELOSHI SABOLOODO DASAMARDES „EVROPULI IDEACA“ DA „EVROPULI IDENTOBACA“.

გამაოგნებელი უპასუხისმგებლობაა, როცა უბრალო ადამიანებს არავინ უხსნის მკაფიოდ და გასაგებად: არავითარი „უვიზო რეჟიმი“ (როგორც მათ ესმით) ეს არ იქნება! წინა რეჟიმთან განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თუ მანამდე საქართველოს მოქალაქე იძულებული იყო, უამრავი საბუთი შეეგროვებინა და ევროპული სახელმწიფოს საელჩოში მიეტანა, რათა როგორმე დაერწმუნებინა საკონსულოს თანამშრომელი მხოლოდ ტურისტული (არა დასაქმების) მიზნით მოგზაურობის სურვილში, ახლა იგივე საბუთები გერმანელ, ფრანგ, უნგრელ, იტალიელ თუ ბერძენ მესაზღვრეს უნდა წარუდგინოს უშუალოდ საზღვარზე! ეს უკანასკნელი კი, საკუთარი შეხედულებით გადაწყვეტს, შეუშვას ადამიანი ევროკავშირში თუ გააბრუნოს უკან.

ოდნავი ეჭვი თუ გაუჩნდა, უკან გამოაბრუნებს. ოღონდ ეს უკეთეს შემთხვევაში; ხოლო თუ უკან დასაბრუნებელი რეისი რამდენიმე დღის შემდეგაა, აეროპორტს კი „ნეიტრალური ზონა“ და შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ გააჩნია, ადამიანი შეიძლება ე.წ. „საემიგრაციო ბანაკშიც“ ჩასვან. ანუ, თანამედროვე ევროპის საკონცენტრაციო ბანაკებში, სადაც შესაძლოა, მთელი კვირის გატარება მოუხდეს ავღანელ, არაბ და აფრიკელ უკანონო მიგრანტებთან ერთად, რომლებიც დეპორტაციისათვის ემზადებიან.

* * *

დავაკვირდეთ, რა უბედურება ტრიალებს ისრაელის საზღვარზე: ათიდან რვა (!) ქართველს, ვინც „უვიზო რეჟიმის“ შესახებ ბრიყვული პროპაგანდით მოიხიბლა, უკან აბრუნებენ. ხშირ შემთხვევაში შეურაცხყოფას აყენებენ და საშინლად აზარალებენ ფინანსურად. მაგრამ ამის თაობაზე ჩვენი ტელეჟურნალისტიკა (როცა სჭირდება, არაფერი გამოეპარება) კრინტს არ სძრავს, ანუ ჯიუტად არ აშუქებს უამრავ პიროვნულ ტრაგედიას, რაც ამ ე.წ. „უვიზო რეჟიმმა“ გამოიწვია

ბევრად დიდი და საზარელი უბედურება შეიძლება დატრიალდეს ევროკავშირის საზღვრებზე, როდესაც მას სულელური და უპასუხისმგებლო პროპაგანდით თვალებაპრიალებული ქართველების, მათ შორის, სრულიად გამოუცდელი და გულუბრყვილო ახალგაზრდების არმია მიაწყდება. ბევრი მათგანი ისარგებლებს ავია-რეისებით ქუთაისიდან, რაკი მართლა ძალიან იაფი და ხელმისაწვდომია.

ამ ადამიანებს წარმოდგენაც არა აქვთ, რამდენად გულქვა, ჩლუნგად სწორხაზოვანი, ხშირ შემთხვევაში შეურაცხადია ევროპული ბიუროკრატია. მათ შორის, სასაზღვრო ბიუროკრატია.

საკმარისია, რომელიღაც რეგვენ მესაზღვრეს რაიმე არ მოეწონოს, ეჭვი გაუჩნდეს და... ადამიანს ქვეყანაში არ შეუშვებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ყველა საბუთი ექნება. განსხვავება ისაა, რომ „სავიზო რეჟიმის“ დროს მას საელჩოდან გამოისტუმრებდნენ უარით, ევროპული აეროპორტიდან „გამოსტუმრება“ კი ბევრად მტკივნეული, ზოგჯერ საშინელი პროცედურაა.

ამაზე უეჭველად იტყვიან: „ერთ-ორი ამგვარი შემთხვევა რომც მოხდეს, ბევრად მეტი ქართველი ხომ მაინც შევაო ევროპაში“.

ჯერ ერთი, ისრაელის მაგალითი ადასტურებს, რომ „თითო-ოროლა შემთხვევა“ კი არა, მასობრივი დეპორტაცია გველის, მით უმეტეს ამჟამად ევროპაში შექმნილი ანტიემიგრანტული ისტერიის ფონზე. მაგრამ დავუშვათ ასეა. აბა წარმოვიდგინოთ, რა მოხდება საქართველოში, რომელიმე სტუდენტი, გულუბრყვილოდ რომ გაემგზავრება ევროპაში, საზღვარზე დააკავონ, საემიგრაციო ბანაკში მოათავსონ დეპორტაციამდე, იქ კი ავღანელებთან ან არაბებთან მოუვიდეს კონფლიქტი და რაიმე დაემართოს? განა ძნელი პროგნოზირებადია, რა აღშფოთებას, თანაც სრულიად სამართლიან აღშფოთებას გამოიწვევს ეს ქვეყანაში (ტელემედია ყველაფერს ვერ მიჩქმალავს) და როგორ ისარგებლებენ ამით ანტიდასავლური ძალები?

* * *

საერთოდაც გაუგებარია, რად გვინდოდა ეს „უვიზო რეჟიმი“? თუკი იგივე საბუთები (ალბათ უფრო მეტიც კი) უნდა შეაგროვოს ადამიანმა, ანუ ამონაწერი ბანკიდან, სამუშაოს ცნობა და ა.შ და ა.შ — განა არ სჯობს, ეს საბუთები საელჩოში მიიტანო და ერთწლიანი მრავალჯერადი ვიზის აღება სცადო, ვიდრე გარისკო და შორეულ ქვეყანაში გაფრინდე, სადაც არა საკონსულოს გამოცდილმა თანამშრომელმა, არამედ ვინმე ხეპრე მესაზღვრემ უნდა გადაწყვიტოს შენი ბედი?! მათ შორის ის, — მოგათავსებენ თუ არა საკონცენტრაციო ბანაკში პირუტყვებთან ერთად.

ამასთან შედარებით, ფინანსური ზარალი „წვრილმანად“ უნდა ჩაითვალოს: ბოლოს და ბოლოს, საელჩოს შემთხვევაში მხოლოდ ვიზის მოსაკრებელს კარგავ, ხოლო აეროპორტიდან უკან მობრუნების დროს — შეუდარებლად მეტს.

ამ ყოველივეს საქართველოს მოქალაქეებს არავინ უხსნის. არავინ ეუბნება, რომ ე.წ. „უვიზო რეჟიმი“ ევროკავშირთან გულისხმობს მხოლოდ ერთს: იგივე საბუთების შეგროვებას მესაზღვრისთვის (და არა თბილისში მდებარე საკონსულოს თანამშრომლისთვის) წარსადგენად, რაც უდიდესი რისკია.

ამას ადამიანებს არ უხსნიან არც ხელისუფლების, არც ოპოზიციის, არც მედიის წარმომადგენლები, რადგან მთლიანად ქართული ისტებლიშმენტი „უვიზო რეჟიმს“ უდიდეს წარმატებად მიიჩნევს და, როგორც ყოველთვის, მოქმედებს საკუთარი ვიწრო ჯგუფური ინტერესებიდან გამომდინარე, თორემ ადამიანთა ბედი რომ აღელვებდეთ, ყველაზე ჯანსაღი, უხიფათო და მიზანშეწონილი რეჟიმი ევროკავშირთან სწორედ ისაა, რაც დღეს არსებობს: როდესაც ან მოგცემს საელჩო ვიზას, ან არა; მაგრამ იმის გარანტია მაინც გექნება, რომ „ჯოჯოხეთის ცხრა წრეს“ არ გაივლი ევროპულ „საემიგრაციო ბანაკებში“.

ნიკა იმნაიშვილი

საქართველოს ეკონომიკა ხელისუფლებამ მოლიკულ გზაზე შეაყენა!

თუ ხელფასებისა და პრემიების პრობლემაა, რატომ არ იქნა მიღებული ნორმატიული აქტი „ხელფასების სატარიფო ბადის შესახებ“, როდესაც ხელფასი მინისტრზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ კანონით იქნება განსაზღვრული?

2016 წლის 1 დეკემბერს მე ბევრს დავურეკე და მეც ბევრმა ადამიანმა დამირეკა. მათ შორის იყო ერთი გამორჩეული ზარი. არა იმით, რომ ის ჩემთვის პატივსაცემ პიროვნებას ეკუთვნოდა, არამედ მის მიერ პირდაპირ დასმული კითხვით: ***„კი მაგრამ, რატომ არაფერს ამბობ იმაზე, თუ რა ხდება ლართან დაკავშირებით?“*** *(მხედველობაში ჰქონდა ა.წ. 1 დეკემბერს სავალუტო ბაზარზე დოლარის ნახტომისებური გაძვირება რამდენიმე საათით, როდესაც 1 აშშ დოლარი 2 ლარი და 75-80 თეთრი გახდა, მაშინ როდესაც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით მისი ფასი 2 ლარი და 54 თეთრი (2,5352 ლარი) იყო).*

ჩემი პასუხი არ იყო მოკლე, თუმცა შემაჯამებლად ვუთხარი: **„ლაპარაკს ახლა უკვე აზრი არა აქვს. ახლა, რაც უფრო ნაკლები იქნება ლაპარაკი, უკეთესია-მეთქი“.**

ცოტა ნაწყენი იყო და მე ეს წყენა ვერ გავუქარვე.

ის გაანაწყენა იმან, რომ როდესაც ლარის „ჭენებაზე“ მოიკითხა ახსნა-განმარტება, აღმოჩნდა, რომ ასეთი რამ არ არსებობს!

ყველაზე მეტი ამ საკითხთან დაკავშირებით, ეს იყო ოფიციოზისა და „ექსპერტების“ განცხადებები.

არც ერთი სამთავრობო თუ სამეცნიერო ინსტიტუტის ანალიზი, არც ერთი ხედვა, არც ერთი თეორიული თუ პრაქტიკული რჩევა.

ასეთ პირობებში მანაც ისეთი დასკვნა გააკეთა, როგორც უმრავლესობამ.

უმთავრესი დასკვნა იყო, რომ ვიღაცა საქმეს აფუჭებს, და ვიღაცას ვიღაცის თავიდან მოშორება უნდა ხელისუფლებაში. ამიტომ, საჭიროა პროკურატურა და ვიღაცის დასჯა. არგუმენტად მოჰყავდათ ეკონომიკის „ექსპერტის“ დასკვნა, რომელიც შეთქმულებაზე ალაპარაკდა.

ეს პოზიცია აბსოლუტურად ირაციონალურია.

სინამდვილეში მოხდა დაგუბებული წყლის მიერ ჯებირის გადმოქცევის მსგავსი რამ, რაც დიდი ხნის მანძილზე ჯებირში გაჩენილი ბზარებით იყო გამოწვეული. მოხდა შენობის ხანძრის კულმინაციის დროს სახურავის ჩამოქცევის მსგავსი რამ, რაც სახლის კარგა ხნის წვის შედეგად მოხდა.

ხანძრის დროს რომ გამოხტნენ „ექსპერტები“ და დაიწყეს ხელების თბობა — საქმეა?

ამ დროს ხანძარი უნდა ჩაქრეს — ამას „ექსპერტებმა“ შეუძლიათ ერთი რამით — ენაზე კბილის დაჭერით შეუწყონ ხელი.

მთავარი მოქმედი პირი ამ დროს უნდა იყოს ხელისუფლება, მისი ინსტიტუტები. უნდა მოხდეს ხელისუფლების შტოს ერთიანობის დემონსტრირება. მათი სამოქმედო გეგმის მოსახლეობისთვის გაცნობა.

მმართველი პოლიტიკური გუნდის კონსულტაციები პოლიტიკურ, სამეცნიერო, საზოგადოებრივ სპექტრთან.

რა მივიღეთ?

ხელისუფლების სრული დეზორგანიზაცია (ლარი გაექანა და რა ხდება — ხომ წარმოგიდგენიათ, ბაზალეთთან რუსის ტანკი რომ გაექანოს რა იქნება?).

ვინ რას აცხადებდა და ამბობდა ოფიციოზიდან არა კვლევის, არამედ პოლიტიკური კურიოზების კრებულში შესაკრები საქმეა.

— არ დაიჯეროთ, რასაც ხედავთ!

— უკეთესია ლარის გაუფასურება — დოლარით მეტი ლარი არ „მოდის“?

— ველოდებით ლარის დასტაბილურებას...

— ჩვენ ვფიქრობთ,.. იმედია,.. ამის მიზეზი არ იყო და რა მოხდა ნეტავ?.. ფაქტორები ამოწურულია... არ უნდა მომხდარიყო...

კი არ უნდა ელოდოს ხელისუფალი, არამედ, უნდა იმოქმედოს!

ამისათვის ჯერ ხანძარი უნდა ჩააქროს და შემდეგ ხანძრის შედეგები უნდა აღმოფხვრას, ხოლო, შემდეგ უკეთესი სახლი უნდა ააშენოს.

ასეთი უნდა იყოს საზოგადოებრივი დაკვეთა.

ამიტომ არასწორია ექსპერტები, რომლებიც სპეკულანტების მოძებნასა და დასჯას ითხოვენ.

საქართველოში დღეს პირველი 100 უმდიდრესი კაცი სპეკულანტობითაა გამდიდრებული.

სპეკულანტობა კანონიერია კაპიტალიზმის დროს.

ამასთან, ლარის კურსის ნახტომმა ნიშანი მისცა ყველას, თუ სად იყო იმუამინდელი „ჭეშმარიტი საბაზრო წონასწორობა“.

და ეს წონასწორობა გახდა ახალი ფსიქოლოგიური ბარიერი ლარისთვის. უახლოეს ხანებში, ლარის მოქმედება ამ ბარიერისკენ სწრაფვაში, მის გადალახვა - არ გადალახვის დიაპაზონში განხორციელდება ნახტომის გარეშე, თუ არ იქნება ეკონომიკაში პოლიტიკური ჩარევები.

ჩემმა მეგობარმა სწორად დაინახა ლარის ნახტომში მთავრობის განცხადების როლი (ხალხი გააგიჟა არაკომპეტენტურობამ: ლარის კურსი კი ეცემა, მაგრამ ფასებზე არ მოქმედებსო)!

თუმცა ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს განცხადება არა მიზეზი, არამედ დეტონატორი იყო. მიზეზი დიდი ხანი მზადდებოდა. ეს იყო არასწორი ქმედებები.არასწორი პოლიტიკა. ამის შესახებ სხვაზე არ ვიტყვი, მე პირადად ვამბობდი, ვწერდი, ვყვიროდი... ადრეული შეტყობინება უნდა წამოვიდეს მეცნიერებიდან.

რამდენიმე მაგალითი.

გიორგი კვირიკაშვილის მიერ პრემიერ-მინისტრად დანიშვნის შემდეგ წამოყენებული ორი მთავარი ინიციატივა — ე.წ. **„ოთხპუნქტიანი გეგმა“ და „მოგების ესტონური მოდელი“ — მათი გახმოვანებისთანავე გავაანალიზე და ვურჩიე ავტორს, რომ მათზე უარი ეთქვა. პირველზე,** როგორც მეცნიერებისა და ცივილიზებულ ქვეყნებში არსებული ქვეყნის განვითარების პროგრამების ფორმატისა და შინაარსისადმი შეუსაბამოსა და არაპროდუქტიულზე, **ხოლო მეორეზე,** როგორც საბიუჯეტო პრობლემების წარმომქმნელზე.

ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა რჩევები.

მოგების გადასახადის სახით 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტმა დაკარგა 600 მილიონზე მეტი.

რა არგუმენტი აქვს მთავრობას? არავითარი, გარდა რწმენისა, რომ ეს გააუმჯობესებს ბიზნესაქტივობას და რამდენიმე წლის შემდეგ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას! ეს არ არის აქსიომა და კონტექსტის გარეშე არ შეიძლება მისი განხილვა. ჩვენ გვაქვს ისტორიული გამოცდილება, როდესაც საქართველოში მოგების გადასახადის შემცირებას 25%-დან 15%-მდე არ მოჰყოლია ეკონომიკურ ზრდაში ნახტომი. საქართველოს ეკონომიკაში თვისობრივად არაფერი არ შეცვლილა მას შემდეგ.

2017 წლის ბიუჯეტისთვის აუცილებელი გახდა 600 მილიონი ლარის „ჩანაცვლება“.

ეკონომიკის პროგნოზირებული ზრდის დაბალმა ტემპებმა ვერ უზრუნველყვეს დარჩენილი გადასახადების შეუცვლელად ამ დანაკარგის კომპენსაცია.

ხელისუფლება დადგა რეალური დილემის წინაშე: **ან უარი უნდა ეთქვა „ესტონურ მოდელზე“, ან სხვა დამატებითი წყარო უნდა მოეძებნა.**

ლართან დაკავშირებით მოქმედებებსა და განცხადებებში გამოჩნდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების გაუცხოება ერთმანეთისაგან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლების ერთ ხეს კი არა აქვს სამი შტო, არამედ ხელისუფლების ყველა შტო ცალ-ცალკე ხეზეა „შემოსკუპებული“.

გონივრული იქნებოდა ე.წ. „მოგების ესტონურ მოდელზე“ უარის თქმა.

შეიძლებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის მფლანგველური (ხშირად კორუფციულიც) ხარჯები შეემცირებინა. მარტო ე.წ. „სხვა ხარჯები“ 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონობითაა განსაზღვრული.

ხელისუფლებამ უარი არ თქვა თავისი კეთილმდგომარეობის ხარჯებზე, ბიზნესს აჩუქა მოგების გადასახადი, ამასთან „გაუფრთხილდა“ თავის ღირსებას და დანახარჯები დააკისრა ხალხს (გაზარდა აქციზი...).

რაც იწვევს ეკონომიკაში ადაპტირებულ ქცევებში არეულობას.

ფინანსური შედეგი ამ ღონისძიებას არ ექნება — **საუკეთესო შემთხვევაში ახალმა შემოსავლებმა ძველი შემოსავლები უნდა ჩაანაცვლოს!**

არ არის ეს უმტკივნეულო ეკონომიკისთვის. ერთი ტიპის — **პირდაპირი გადასახადი მოგება ჩანაცვლდება ირიბი — აქციზის გადასახადით. ადგილი აქვს აგრეთვე აქციზისა და ექსპორტ-იმპორტის გადასახადების აღრევას.**

ეს იმას ჰგავს შტანგაზე ორ მხარეს გადანაწილებული გირები, მარტო ერთ მხარეს ჩამოჰკიდო.

წონა არ შეცვლილა, მაგრამ როგორი ასაწევია?

ამასთან, ბიზნესისთვის არ იქნება მარტივი ბუღალტერიის გადაწყობა ყოველთვიურად მოგების გაანგარიშებაზე. დაიწყება ფიქრი, თუ როგორ იქნას გამოყენებული ეს შეღავათი. იქმნება კრიმინალის სტიმულირების საფუძველი.

ასე აიტკივა ხელისუფლებამ აუტკივარი თავი.

ამას ემატება თავის ტკივილი ლარისა და ფინანსური არასტაბილურობის გამო.

ჩვეულებრივ საარჩევნო ციკლი როდესაც დამთავრდება, ყველა განეწყობა არჩეული ხელისუფლების პირობებში ცხოვრებასა და ფუნქციონირებაზე. ამის საწინააღმდეგო მოხდა საქართველოში. 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დამთავრებამდე (მეორე ტურების ჩატარებამდე) დაიწყო შფოთვა ეკონომიკამ.

რატომ?

აშკარა გახდა საქართველოში მმართველობის უნიკალური მოდელის — სოლოკრატიის ჩამოყალიბება.

„სოლოკრატია“ („Solokratia“) („solo“ — იტალიური - ერთი; „kratia“ — ბერძნული — ხელისუფლება) — რაიმე სახელმწიფოებრივი ოფიციალური პასუხისმგებლობისა და ვალდებულების არმქონე ერთი კაცის მიერ სახელმწიფოს არაფორმალურად და სრულად მმართველობის ძალაუფლება, როდესაც პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა, აღმასრულებელი და ადგილობრივი ხელისუფლების პირველი პირები მის წინაშეა პერსონალურად ვალდებული არსებულ თანამდებობაზე ყოფნის გამო.

ეტყობა, უცნობმა მმართველობის მოდელმა გააჩინა ნდობის დეფიციტი საზოგადოებაში.

საზოგადოებრივი ნდობის ზრდას ხელს არ უწყობს სოლოკრატიული სისტემის ფარგლებში ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ურთიერთმოქმედება.

ლართან დაკავშირებით მოქმედებებსა და განცხადებებში გამოჩნდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების გაუცხოება ერთმანეთისაგან. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ხელისუფლების ერთ ხეს კი არა აქვს სამი შტო, არამედ ხელისუფლების ყველა შტო ცალ-ცალკე ხეზეა „შემოსკუპებული“.

ხელისუფლების წარმომადგენელთა არაკომპეტენტურ განცხადებებს ლარის კრიზისის პერიოდში ახლდა სახელისუფლებო ღონისძიებების 10-პუნქტიანი გეგმა მთავრობის, 10-პუნქტიანი გეგმა ეროვნული ბანკის...

ამ გეგმებმა მთლად გადარია ადამიანები. **ვერ გაიგეს ეს 10 პუნქტი ზემოდასახელებულ 4 პუნქტთან რა კავშირშია, ან ორთავე გენეტიკურად ხომ არაა დაკავშირებული სააკაშვილის 10-პუნქტიან გეგმასთან?**

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას დაემსგავსა მთავრობის განცხადება დედოლარიზაციის შესახებ.

დოლარიზაცია აშშ დოლარის მიერ ლარის გამოდევნაა ქვეყნის შიგნით ფულადი ოპერაციებიდან. დღეისათვის მისი ზომა 80%-მდეა.

ასეთ შემთხვევაში დედოლარიზაციას ხომ არ სჯობს დოლარიზაციის გატარება? არის ასეთი მაგალითები მსოფლიოში (მაგალითად, მონტენეგრო).

ასეთი გზა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების ამოცანების გადაწყვეტისას მცდარია.

ეროვნული ვალუტა სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა და ის იძლევა საშუალებას სახელმწიფოს სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებისათვის.

მაგრამ თუ ხელისუფლება ეროვნულ სახელმწიფოს არ აშენებს და სუვერენულ ფულად სისტემას მხოლოდ ბიუროკრატიისა და მასთან შერწყმული ბიზნესის ინტერესებისთვის გამოიყენებს, მაშინ, იქნებ ჯობდეს კიდეც ორ უბედურებას შორის ნაკლები უბედურების არჩევა?

მაინც, არა და არა. ამის დაშვება არ შეიძლება.

აქამდე ქვეყნის მიყვანას ვიღაც-ვიღაცები შეიძლება მართლა ცდილობს!

თუმცა, გვაქვს ის, რაც გვაქვს!!!

იხ. 8 გვ.

„მართე შენი ქალაქი!“

„ჩემი ქალაქი ჩემით იწყება“ – ამ სლოგანით დაიწყო საბურთალოს რაიონის გამგეობის პილოტ-პროექტის „მართე შენი ქალაქის“ წლის შემაჯამებელი პრეზენტაცია, რომელსაც თბილისის საკრებულომ უმასპინძლა. პროექტი თბილისის მერიის გადაწყვეტილებით, 2016 წელს საპილოტე რეჟიმში მხოლოდ საბურთალოს რაიონში განხორციელდა და მისი მიზანი იყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება, დამოუკიდებელ და თვითკმარ სუბიექტებად ჩამოყალიბება.

ღონისძიება საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ გახსნა და პროექტის მიზნებზე, მოლოდინებსა და მიღებულ შედეგებზე ილაპარაკა. პროექტის ფარგლებში, რაიონში მოქმედ ამხანაგობებთან მუშაობდა 30 ტრენერ-კონსულტანტი, რომელთა რეკომენდაციებითა და დახმარებით, 80 ამხანაგობაში მოხდა პასიური თავმჯდომარეების გადარჩევა, შეიქმნა ვებგვერდი www.martekalaki.ge, რომელიც სამომავლოდ, ამხანაგობებს ინდივიდუალური ვებსაიტების შექმნის საშუალებას მისცემს, დაარსდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ასოციაცია, შედგა 800-ზე მეტი კორპუსის ტექნიკური პასპორტი და განხორციელდა სამი კომერციული პროექტი – ამხანაგობების კუთვნილ ტერიტორიაზე, ვეფხისტყაოსნის N16-თან აშენდა სპორტული მოედანი პარკირების სივრცითა და ადმინისტრაციული შენობით, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ -ის მე-2 კორპუსის სახურავზე დამონტაჟდა სარეკლამო ბანერი და პეკინის N24-ის ფასადზე განთავსდა სარეკლამო მონიტორი. ობიექტების გაქირავებიდან შემოსულ თანხას ამხანაგობები თავად განკარგავენ და მათსავე განვითარებას მოახმარენ.

მდინარე ჩხერეზე ახალი ხიდის მშენებლობა სრულდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) 125-ე კმ-ზე მდ. ჩხერეზე, ახალი სახიდე გადასასვლელის სამშენებლო სამუშაოები სრულდება.

ხიდზე ჩატარებულ სამუშაოებს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძე გაეცნო.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, მდ. ჩხერეზე არსებული ხიდი, მდინარის ღვარცოფული გამონატანებისგან დაზიანებული იყო და საჭირო გახდა ახალი, ალტერნატიული ხიდის მშენებლობა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა: ახალი 3-მალიანი, 75 მეტრის სიგრძის სახიდე გადასასვლელის მშენებლობა; ხიდის სავალი ნაწილის, ახალი წყალგამტარი მილების, სადრენაჟე არხებისა და საგზაო ნიშნების მოწყობა; ასევე განხორციელდა ხიდის სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 3 680 000 ლარი შეადგინა.

საქართველოში ქარსაფარი ზოლების გაშენება, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა მართლაც საჭირო საქმეა!

სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ჩხეიძე და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილე ეკატერინე გრიგალავა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდნენ და საქართველოში ქარსაფარი ზოლების გაშენების, რეაბილიტაციის და მოვლა-პატრონობის საკითხები განიხილეს.

შეხვედრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრისა (RECC) და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ერთობლივი პროექტის „მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით სასოფლო ტერიტორიებზე ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა“– ფარგლებში გაიმართა.

„ქვეყნის მასშტაბით ქარსაფარი ზოლების აღდგენა-რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობების დაცვისთვის, ასევე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული ფართობების გაუდაბნოების პრევენციისთვის. დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით გაჩეხილია ქარსაფარი ზოლების დაახლოებით 90%, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ნიადაგის ნაყოფიერებაზე და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებულია ნიადაგის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების გრძელვადიანი ღონისძიებები, მათ შორის სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და განვითარება, ასევე ნიადაგის ეროზიისგან დაცვის კუთხით ქარსაფარი ზოლების აღდგენა. შესაბამისად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მზად არის სხვა უწყებებთან, კერძო და საჯარო ორგანიზაციებთან ერთად, აქტიურად და კოორდინირებულად იმუშაოს ამ გამოწვევის დასაძლევად და ხელი შეუწყოს ქვეყნის მასშტაბით ქარსაფარი ზოლების აღდგენა-რეაბილიტაციას“, – აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ჩხეიძემ.

ბათუმის იუსტიციის სახლში JUSTcafe გაიხსნა

JUSTcafe-ს მომსახურება თბილისის შემდეგ ამჯერად ბათუმის იუსტიციის სახლში მისული მომხმარებლებისთვისაც გახდა ხელმოსაწვდომი.

იუსტიციის სახლის აღმასრულებელმა დირექტორმა გივი აზაურაშვილმა ბათუმში JUSTcafe გახსნა. JUSTcafe ბათუმის იუსტიციის სახლში განთავსებული კომფორტული კაფეა. მას უნიკალურობას ორმაგი ფუნქცია სძენს. ადგილობრივ და უცხოელ სტუმარს, ფინჯანი ყავისა თუ კაფის სამზარეულოს დაგემოვნების პარალელურად, შეუძლია ისარგებლოს იუსტიციის სახლის მომსახურებით – დააფიქსიროს მოთხოვნა ამა თუ იმ სერვისზე, მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია თუ მზა დოკუმენტი.

განაცხადის მიღებას, მომსახურებისთვის საჭირო ყველა თანამედროვე საშუალებით, კაფეში მყოფი ოპერატორები განახორციელებენ.

JUSTcafe იუსტიციის სახლის სერვისებით დაინტერესებული სტუმრებისთვის იმუშავებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 09:00-დან 18:00 საათამდე.

◎ 2017 წელი კარზეა!

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზის დიდი პოტენციალი და პოლიტიკური დატვირთვა

ამერიკულ ჟურნალ „ფორბს“-ში გამოქვეყნებული სტატია ეხება სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკომუნიკაციო საშუალებას - ბაქო-თბილისი-ყარსის მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალს. მასში მოცემულია ვრცელი ინფორმაცია რკინიგზის შესახებ, ასევე საუბარია იმ დიდ წვლილზე, რასაც მაგისტრალი შეიტანს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გვთავაზობს სტატიის შინაარსს:

როგორც პუბლიკაციაშია ნათქვამი, რკინიგზის ექსპლუატაცია ევროპასა და აღმოსავლეთ აზიის ბაზრებს შორის სავაჭრო გზის აღდგენაში ერთგვარი „ცენტრალური ნერვული სისტემის“ როლს შეასრულებს. ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მეშვეობით ტვირთების გადატანას ევრაზიის კონტინენტის ერთი ნაწილიდან მეორეში მხოლოდ 15 დღე დასჭირდება.

სტატიაში ყურადღება აქვს დათმობილი 826-კილომეტრიანი რკინიგზის მშენებლობის ისტორიას – როგორ დაიბადა იდეა ჯერ კიდევ 1993 წელს, როგორ განხორციელდა 2007 წელს, როცა აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას რკინიგზის მშენებლობის შესახებ. ავტორი ხაზს უსვამს რკინიგზის მომგებიანობას – მხოლოდ აზერბაიჯანისთვის სავარაუდო მოგება წელიწადში 170 მილიონ დოლარს მიაღწევს.

პუბლიკაციაში საუბარია მშენებლობის დაფინანსებაზე, მისი დასრულების დაახლოებით ვადებზე. ავტორი არ ერიდება პროექტის რეალიზების დროს წარმოჩენილი ნაკლოვანებების მხილებასაც:

„იმ დროს, როცა რკინიგზის მომგებიანობა წლების მანძილზე ყოველთვის აშკარა ჩანდა, მისი მშენებლობის დაფინანსება ყოველთვის დროული და უწყვეტი არ ყოფილა. როგორც აზერბაიჯანელი მკვლევარი მახირ გუმბათოვი ამბობს, პროექტისათვის თანხების გამოყოფაზე თავიდანვე უარი განაცხადეს შეერთებულმა შტატებმა, მსოფლიო ბანკმა, აზიის განვითარების ბანკმა და სხვა საფინანსო სტრუქტურებმა. ევროკავშირი კი იმიტომ იყო წინააღმდეგი, რომ ბრიუსელს იმ ძველი სარკინიგზო მარშრუტის აღდგენა სურდა, რომელიც საბჭოთა პერიოდში აზერბაიჯანს და თურქეთს ერთმანეთთან სომხეთის ტერიტორიის გავლით აკავშირებდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ შეთანხმების სამივე სუბიექტს – აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს რკინიგზის მშენებლობა საკუთარი სახსრებით უნდა განეხორციელებინათ. აზერბაიჯანსა და თურქეთს თავიანთ ტერიტორიაზე მშენებლობისათვის ფული ჰქონდათ, საქართველოს კი 178-კილომეტრიანი მონაკვეთის დაფინანსება არ შეეძლო. ამიტომაც თბილისს თანხა ბაქომ ორჯერ ასესხა მცირე პროცენტით – პირველად 112 მილიონი დოლარი, მეორედ კი – 323 მილიონი. ეს იმის კარგი მაგალითია, თუ როგორ იყენებს აზერბაიჯანი ნავთობით მიღებულ დოლარებს რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

„მაგრამ რადგანაც სახელმწიფოს ყოველთვის არ შეუძლია ასეთი დიდი ხარჯების გაწევა, განსაკუთრებით ნავთობზე ფასების დაცემის დროს, პროექტის რეალიზებისთვის კერძო სტრუქტურების ჩართვა გახდა აუცილებელი, რაც, სამწუხაროდ, სწრაფად ვერ განხორციელდა. ამიტომაც რკინიგზის მშენებლობის დასრულება ძალიან გაჭიანურდა: თავდაპირველად მაგისტრალის ექსპლოატაცია 2010 წლისთვის იყო დაგეგმილი, შემდეგ 2013 წლისათვის გადაიდო, მოგვიანებით 2014 წელი დასახელდა... მაგრამ ისე გავიდა 2015 და მიიწურა 2016 წელიც, რომ რკინიგზის მშენებლობის დასრულებას საშველი არ დაადგა. ახლა ამბობენ, რომ სადღაც 2017 წლისთვის დასრულდებაო“, – აღნიშნავს ავტორი და იქვე ამატებს, რომ ტრასა რომ ამუშავდება, სამივე სახელმწიფოს დიდ მოგებას მოუტანს.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ სამხრეთ კავკასიის სატრანსპორტო კომუნიკაციები – ბაქო-სუფსას და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი (ანუ „სამხრეთკავკასიური მილსადენი“) და ახლა უკვე ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა სამი სახელმწიფოს ინტეგრაციის ხელშემწყობი პროექტებია. მათი გამოისობით კიდევ უფრო ღრმავდება თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს თანამშრომლობა როგორც ეკონომიკის, ასევე თავდაცვისა და პოლიტიკის სფეროში.

„თუ თქვენ სამხრეთ კავკასიის რუკას დააკვირდებით, დაინახავთ რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მარშრუტი გვერდს უვლის სომხეთს და რეგიონის ცენტრში მდებარე პატარა ქვეყანას გვერდზე, პერიფერიაში ტოვებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სავაჭრო-ეკონომიკურის გარდა, ამ სარკინიგზო პროექტს პოლიტიკური დატვირთვაც აქვს“, – ნათქვამია სტატიაში.

უეიდ შეპარდი,
„Forbes“ (აშშ)

ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

პატარა უფლისწული

ზღაპარი
ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი
ქართულად გადმოაქცია
გურამ გოგიაშვილმა





XXVI

ჭის შორიახლო ძველი ქვის კედლის ნანგრევები იყო შემორჩენილი. მეორე საღამოს, სამუშაოს რომ მოვრჩი, იქ დავბრუნდი და ჯერ კიდევ შორიდან დავინახე, რომ პატარა უფლისწული კედლის კიდეზე ფეხებგადმოკიდებული იჯდა. და იმისი ხმა გავიგონე:

– ნუთუ არ გახსოვს? – ამბობდა იგი, – არა, აქ არ ყოფილა, სულ სხვაგან იყო.

ეტყობა, ვიღაცა ეპასუხებოდა, რადგან ის საწინააღმდეგოს ეუბნებოდა.

– მართალი ხარ, სწორედ ერთი წლის წინათ იყო, ზუსტად დათქმულ დღეს, ოღონდ სხვა ადგილას.

ნაბიჯს ავუჩქარე, მაგრამ კედელთან არც ვინმე დამინახავს და არცრა ხმა გამიგონია. ამასობაში კი პატარა უფლისწულმა კვლავ ვიღაცას უპასუხა:

– კი, რასაკვირველია. ჩემს ნაფეხურებს ქვიშაზე იპოვი. და დამიცადე. ამაღამ მანდ მოვალ.

კედლამდე ოცი მეტრი რჩებოდა, მაგრამ მაინც კიდევ ვერცვის ვერა ვხედავდი.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პატარა უფლისწულმა იკითხა:

– კარგი შხამი თუ გაქვს? დიდხანს ხომ არ გამაწვალებ?

დაელდიანებული გავჩერდი, სიმწრისგან გული მეკუმშებოდა, მაგრამ მიხვედრით ვერცრას ვერ ვხვდებოდი.

– ახლა წადი, – თქვა პატარა უფლისწულმა, – ძირს ჩამოხტომა მინდა.

ამის გაგონებისთანავე დაბლა დავხედე და ეგრევე ვისკუპე! კედლის ძირას პატარა უფლისწულისკენ ნესტრიანი თავი აეღერებინა დაგორგლილ ყვითელ გველს, რომლის შხამი სულ ნახევარ წუთში კლავს სულიერს.

ჯიბეში რევოლვერი მოვისინჯე და იმისკენ გავექანე. მაგრამ ჩემი ფეხის ხმით დამფრთხალი გველი სათავეშივე მოწყვეტილი დანაკადლებული წყალივით, თითქმის დაშრეტილი, უღონოდ გალივლივდა ქვიშაზე და ძლივს გასაგონი ლითონისებრი ხმიანობით ქვებში მიიმალა.

აღარ დავყოვნებულვარ, ეგრევე მივრბინე კედელთან. მართლა სულზე მივუსწარი და ხელში ავიტაცე პატარა უფლისწული. მთლად თოვლისფერი იყო, გაფითრებული.

– ეგ რა აზრი მოგსვლია, ბიჭუნავ?! –შევუძახე გულმოსულმა, – შენც ნახე რა, გველი სალაპარაკოდ!

სწრაფად შემოვხსენი თავისი საყვარული ოქროსფერი ყელსახვევი. საფეთქლები დავუსველე და ძალით დავალევინე წყალი. მაგრამ ვერ გავბედე, რომ რამე მეკითხა. მან ფიქრიანად შემომხედა და კისერზე შემოეჭდო. ცხადად მესმოდა, როგორც დაჭრილ ჩიტს, ისე უცემდა გული.

– მოხარული ვარ, რომ მიმხვდარხარ, რა სჭირდა შენს მანქანას და შეგიკეთეგია. ახლა უკვე შეგიძლია შინ დაბრუნება...

– შენ რა იცი?

სწორედ ის-ის იყო უნდა მეთქვა, მართალია, უიმედოდ კი ვიყავი, მაგრამ მაინც მოვახერხე და შევაკეთე-მეთქი თვითმფრინავი!

ჩემს შეკითხვაზე არ უპასუხებია, თავისი სათქმელი მითხრა:

– მეც დღეს დავბრუნდები შინ.

მერე ნაღვლიანად დასძინა:

– ოღონდ ჩემი გზა მევრად უფრო შორია... და მევრად უფრო ძნელი...

გული მითქვამდა, რომ რაღაც უჩვეულო და უცნაური რამ უნდა მომხდარიყო. როგორც პატარა მავშვს, ისე ვიკრავდი გულში, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ ხელიდან მისხლტებოდა, თითქოს უფსკრული ითრევდა, ცოტაც და გადაიჩეხებოდა, მე კი ძალა არ შემწევდა ამ საშინელების შესაჩერებლად...

ის ფიქრიანად გაიცქირებოდა სადღაც შორს.

– მე დამრჩება შენი ბატკანი, ყუთი-კორაკანაც ბატკნისთვის, სადრუნჩეც...

და მან ნაღვლიანად გაიღიმა.

კარგა ხანს ვუცდიდი. გონს გადაგებული ის თითქოს ნელ-ნელა ისევ მოდიოდა გონს.

– ნამდვილად შეშინებული ხარ, ბიჭუნავ...

თუ ბიჭი ხარ, ნუ შეგეშინდება! მაგრამ მან წყნარად გაიცინა:

– შიში შენ ამ საღამოს იკითხე...

კვლავ გამოუსწორებელი უბედურების წინათგრძნობამ დამრია ხელი და ძარღვებში სისხლი გამიყინა. ნუთუ ვერცროდისღა ვეღარ გავიგონებ ამის სიცილს? ეს სიცილი ჩემთვის იგივეა, რაც წყარო უდაბნოში.

– ბიჭუნავ, იქნებ ერთხელ კიდევ გამაგონო შენი სიცილი...

მაგრამ მან თხოვნა თითქოს ბანზე ამიგდო.

– ამაღამ წელიწადი შესრულდება. ჩემი ვარსკვლავი თავს დაადგება სწორედ იმ ადგილს, სადაც ერთი წლის წინათ ჩამოვვარდი...

– ყური დამიგდე, ბიჭუნავ, ეგ შენი გველიც და ეგ შენი ვარსკვლავთან პაემანი თუ შეხვედრის დრო განა ცუდი სიზმარი არ არის?

მაგრამ მან არა მიპასუხა რა.

– ყველაზე მთავარი ის არის, რასაც თვალებით ვერ დაინახავ... – თქვა მან.

– მართალი ხარ...

– ყვავილისა არ იყოს, თუ ყვავილი გიყვარს, სადღაც შორეულ ვარსკვლავზე რომ ხარობს, მაშინ ღამღამობით ცაში ცქერას რა სჯობს! ყველა ვარსკვლავი იფურჩქნება.

– მართალი ხარ...

– წყლის საქმეც ეგრეა. შენ რომ წყალი დამალევინე, ის წყალი თითქოს მუსიკა იყო ოწინარისა და თოკისგან აუღერებული. გახსოვს? რა კარგი რამ იყო.

– მართალი ხარ...

– ღამღამობით, ვიცი, ვარსკვლავებს დაუწყებ ცქერას. ჩემი ვარსკვლავი ძალიან პატარაა, შენთვის იმისი ჩვენება ნამდვილად არ შემიძლია. აგრე ჯობს. ის შენთვის უბრალოდ ერთი ვარსკვლავთაგანი იქნება. ისიც ვიცი, რომ ვარსკვლავების ცქერა შეგიყვარდება... ისინი შენი მეგობრები გახდებიან ყველანი და მერე რაღაცას გაჩუქებ...

და მან გაიცინა.

– ოჰ, ჩემო კარგო ბიჭუნავ, როგორ მიყვარს, როცა იცინი!

– აი სწორედ ეს არის ჩემი საჩუქარი... იმ წყლისა არ იყოს...

– ეგ როგორ?

– სუყოველ ადამიანს თავისი ვარსკვლავები აქვს. ზოგ-ზოგთ, ვინც მოგზაურობს, ისინი გზას უჩვენებენ, აკვალიანებენ. სხვებისთვის უბრალოდ პატარა მაშხალებია. სწავლულთათვის ისინი ამოსახსნელი ამოცანებია. ჩემი საქმოსანი კაცისთვის კი თითოეული ვარსკვლავი სულ ბაჯაღლო ოქროა. მაგრამ ამ ხალხისთვის ყველა ვარსკვლავი მუნჯია. შენ კი სავსებით განსაკუთრებული ვარსკვლავების მფლობელი იქნები, რომელთა მსგავსი არცვის ქვეყნიერებაზე არ ექნება.

– ეგ როგორ?

– ღამით ვარსკვლავიან ცას რომ ახედავ ხოლმე, გეცოდინება, რომ იქ ერთი ვარსკვლავია, სადაც მე ვცხოვრობ, სადაც მე ვიცინი, – და ცხადად გაიგონებ, რომ ვარსკვლავები ერთიანად იცინიან. რაღა ბევრი გავაგრძელო, შენს ვარსკვლავებს სიცილი ეცოდინებათ!

და თავადაც გაიცინა.

– და როდესაც დარდსა და ჭირ-ვარამს გაიქარვებ, ანუ ბოლოს და ბოლოს გამომიგლოვებ – გამოუგლოვებელი არცრაა ამქვეყნად, – მოხარული იქნები, რომ ოდესღაც მიცნობდი. დღეის ამას იქით ჩემს ერთგულ მეგობრად გიგულებ. ბევრჯერ მოგინდება ჩემთან ერთად სიცილი. ხან სულაც უმიზეზოდ გამოაღებ ფანჯარას და ცის ყურებით თვალს გაახარებ... და შენი მეგობრები წაუვალ-მიუვალ ლაპარაკს დაიწყებენ, ეტყობა, გაგიჟდა ეს უბედური, ცაში იყურება და იცინისო. შენც ეგრევე გაეპასუხები, მერე რა მოხდა, მე ყოველთვის ვიცინი, როცა ვარსკვლავებს ვუყურებო...აი, რა მზაკვრულ ოინს გიმზადებ, რა ცლინგურს გიგდებ, ჩემო მეგობარო...

და მან კვლავ გაიცინა.

– თითქოს ვარსკვლავები კი არა, გაცინებული ეჟვნების მთელი გროვა მეჩუქებინოს შენთვის...

და მან კვლავ გაიცინა. მერე ისევ გაიდარბაისლა თავი:

– იცი, რა... ამაღამ... თუ არ მოხვალ, აჯობებს.

– არა, ვერ მიგატოვებ.

მაგრამ ის რაღაცით შეწუხებული ჩანდა.

– ამას სულ გველის გამო გეუბნები. ემანდ უცებ შენც არ დაგგესლოს, გველები, ხომ იცი, ბოროტები არიან. ვინმეს დაგესვლა გველებისთვის ერთი სიამოვნებაა.

– არა, ვერ მიგატოვებ.

ის უცებ დაშოშმინდა.

– თუმცა, ორისთვის არ ეყოფა შხამი...

იმ ღამეს ვერც გავიგე, როგორ წავიდა, უჩუმრად გაპარულიყო.

როცა ბოლოს და ბოლოს დავეწიე, მტკიცე და სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. გამალებული.

– აა, ეს შენა ხარ...– მხოლოდ ეს მითხრა და ხელი ჩამკიდა. მაგრამ ისევ შეშფოთებული ჩანდა.

– სულ ტყუილად მომყვები. ჩემი ყურება გულს გატკენს. შენ გეგონება, რომ ვკვდები, მაგრამ არ დაიჯერო, მართალი არ იქნება.

მე ვდუმდი.

– ხომ იცი, ძალიან შორი გზა მაქვს და ტან-სხეული კი მეტისმეტად მძიმე. ნამდვილად გამიჭირდება ზიდვა.

მე ვდუმდი.

– ეს იგივეა, რომ ძველი ნაჭუჭი გავიძრო. აქ სამწუხარო არაფერია.

მე ვდუმდი.

ვატყობდი, ცოტათი შეშინებული იყო. მაგრამ მალევე გაიმხნევა თავი:

– ნამდვილად კარგი იქნება, დიდებული! მეც დავუწყებ ვარსკვლავებს ცქერას და სუყველა ვარსკვლავი ჭრიალაოწინარიან ძველ ჭებად იქცევა და წყალს დასალევად არც ერთი არ დამიჭერს.

მე ვდუმდი.

– უფრო დიდებულ თავშესაქცევს სად ნახავ! შენ ხუთასი მილიონი ეჟვანი გექნება, მე კი ხუთასი მილიონი წყარო...

აქ თვითონაც დადუმდა, გული ამოუჯდა და იმიტომ.

– ამ ლაპარაკ-ლაპარაკში მოვედით კიდეც. ახლა კი მარტოს გადამადგმევინე ერთი ნაბიჯი.

და ქვიშაზე დაჯდა, იმიტომ რომ შიშმა შეიპყრო. მერე ისევ აძრახდა.

– ხომ იცი... ჩემი ვარდი... ჩემი საპატრონოა... მე პასუხს ვაგებ. მერე რა სუსტია! რა მიამიტია! ოთხად-ოთხი უბადრუკი ეკალი აქვს, სხვა, აბა, რითი უნდა დაიცვას თავი ამ გავეშებული სამყაროსგან?

მეც დავჯექი, რადგან ძლივს ვიდექი ფეხზე, უკვე მუხლები მეკეცებოდა.

– მორჩა და გათავდა... – თქვა მან.

ცოტა შეყოვნდა და წამოდგა. მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა. მე განძრევის თავიც არა მქონდა.

პატარა უფლისწულს თითქოს ყვითელი რამ ელვა გაუკრთა ფეხებთან. ერთ წამს არ განძრეულა. არცრა წამოუყვირია. მერე წაიქცა, ოღონდ ნელა, როგორც ხე წაიქცევა ხოლმე. ნელა და უჩუმრად: ქვიშა ხომ ყოველგვარ ბგერას ახშობს.

XXVII

მას აქეთ უკვე ექვსი წელი გამოხდა... ეს ამბავი ჯერ არცვისთვის არც ერთხელ არ მომიყოლია. შინ რომ დავბრუნდი, ამხანაგები სიხარულს არ მალავდნენ, რახან ცოცხალი და უვნებელი მნახეს. რად უნდა თქმა, ნაღვლიანად ვიყავი, მაგრამ ამხანაგებს ვეუბნებოდი, უბრალოდ დაღლილობისა მჭირს-მეთქი.

ნელ-ნელა დარდმაც გამიარა, გულზე ისე ლოდად აღარ მაწვა. მაგრამ სულ არ შემშვებია. მაგრამ ერთი კი ვიცი: ის დაუბრუნდა თავის პლანეტუკას, ამას აგრე დარწმუნებით იმიტომ ვამბობ, რომ გამთენიისას ვერა და ვერ მივაგენი ქვიშაზე იმის ტან-სხეულს, რომელიც არცთუ ისე ძალიან მძიმე იყო. ღამღამობით კი ძალიან მიყვარს ვარსკვლავების ყურისგდება. თითქოს ხუთასი მილიონი ეჟვანი ჟღერდეს...

დასასრული. დასაწყისი იხ. №231-237, 239

მაგრამ ერთი რამ დღემდე მაშფოთებს, ბატკნისთვის სადრუნჩეს რომ ვხატავდი, თასმის დახატვა დამავიწყდა! ცხადია, პატარა უფლისწული პირს ვერ აუკრავს ბატკანს სადრუნჩით. და ხშირად ვეკითხები ჩემსავე თავს: ნეტავი რა ხდება იქ, იმის პლანეტაზე? ვაითუ ბატკანმა შეუჭამა ვარდი?

ხანისად თავს ვიიმედებ: „არა, რასაკვირველია, არა! პატარა უფლისწული ღამ-ღამობით ვარდს ყოველთვის მინის თალფაქს ახურავს, და ბატკანსაც ერთი წუთითაც თვალს არ აცილებს...“ ამას როს ვირწმუნებ ხოლმე, მედნიერი ვხდები. და ვარსკვლავები ყველანი ერთად ჩუმ-ჩუმად იცინიან.

ხოლო ხან გულში ვამბობ: „ზოგჯერ ისე დაბნეულნი ვართ... ყველაფერი შეიძლება რომ მოხდეს! ვაითუ ერთ რომელიმე საღამოს პატარა უფლისწულს სულ დაავიწყდეს ის მინის თალფაქი ანდა ბატკანმა უჩუმრად თავი აიშვას და თავისუფლად გაისეირნ-გამოისეირნოს“... და მაშინ ეუვნები ყველანი ერთად ტირიან...

ეს ყოველივე იდუმალი და გონებამიუწვდომელია. თქვენთვის, ვისაც პატარა უფლისწული შეგიყვარდათ, ისევე როგორც ჩემთვის, ვარდისა და ბატკნის ამბავი სრულიად და სრულებითაც სულერთი არ არის: მთელი სამყარო სულ სხვანაირი ხდება ჩვენს თვალში იმის გამო, რომ სადღაც სამყაროს ერთ-ერთ მივარდნილ უსახელო კუთხეში ჩვენმა უნახავმა, თვალდაუკვრელმა ბატკანმა ვაითუ შესანსლა ჩვენი უცნობი ვარდი.

ახედეთ ცას და ჰკითხეთ საკუთარ თავს: „ცოცხალია ის ვარდი თუ უკვე აღარ არის? ხომ არ შეჭამა ის საწყალი ბატკანმა?“ და ნახავთ, რომ ყველაფერი სულ სხვანაირი გახდება...

მაგრამ ვაი რომ ვერცერთი სრულწლოვანი ვერცროდის ვერ მიხვდება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ამას!

* * *



ჩემი აზრით, ეს ყველაზე ლამაზი და ყველაზე სევდიანი ადგილია დედამიწის ზურგზე. უდაბნოს ეგვეგე კუთხე დახატულია წინა გვერდზეც, მაგრამ ავდექი და კიდევ დავხატე, რათა თქვენ უკეთ გაგერჩიათ და შეგეცნოთ. პატარა უფლისწული პირველად აქ გამოჩნდა დედამიწაზე, მერე კი გაქრა. ყურადღებით დააკვირდით, რათა აუცილებლად იცნოთ ეს ადგილი, უკეთუ ოდესმე მოხვდებით აფრიკაში, უდაბნოში. თუ აქ გავლა მოგიხდათ, გაფიცებთ, არ იჩქაროთ, ცოტა ხანს შეყოვნდით ამ ვარსკვლავის ქვეშ! და თუ თქვენთან ოქროსფერთმიანი პატარა ბიჭუნა მოვიდა, თუ წკრიალა ხმით იცინებს და უპასუხოდ დატოვებს სუყოველ თქვენს შეკითხვას, რასაკვირველია, მიხვდებით, ვინც არის ეს ბიჭუნა. მაშინ — არ ვიცი, უფრო ძალიან როგორ შეგეხვეწოთ! — არ დაგავიწყდეთ ჩემი ნაღვლიანი გულის ნუგეშინისცემა, სასწრაფოდ მომწერეთ, რომ ის დაბრუნდა...

◎ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ



ᲖᲐᲐᲚ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲘ

განცდა ამოუხსნელი – ოცნებების ზღვარი.
შენს წინ თეთრი ფურცელი. დაკეტილი კარი.
სიყვარულის ცდუნება – ხელოვნება ჭარბი.
არც რო მშვიდი ბუნება ... მოთამაშე წარბი ...
ბედისწერა ხილული – პოეტების ხვედრი.
სიზმარში ჩაძირული წარბშეკრული მდედრი.
გასწრებული ფეხების მადევარი ლანდი,
ერთ დროს ბედნიერების მაძიებელს ჰგავდი.
ესეც, ოქრო-ლოტოსი – ღვთაებრივი ქოლგა –
ფუნჯის მოსმა ჯოტოსი – ფერში თვალი მოლბა.
მომხიბვლელად შორეულს, თანაც ნაზურმუხტევს,
თავისთავზე მორეულს, განცდას სანთელს უნთებ.
თვლემს ფერდობზე ტაძარი, თუ ფრინველი რამე –
შვენის გულის ხანძარით განათებულ ღამეს.
მაღლა მოჩანს ღილები – ვარსკვლავების თქორი,
დაბლა – ვარდ–ყვავილებით მოქსოვილი მოლი.
სმენას კაწრავს ქუხილი, ასხლეტილი ჩქამით
და შორიდან უღიმი მობოძებულ ამინდს.
სივრცეს დაინადავლებს მოდარაჯე მზერა,
ჟივჟავები – ნადავლი, სხვა რა უნდა ძერას.
გაღმა რუა ანკარა, თუ ნიმფების ბინა,
სიზმარ–ცხადი არ კმარა – მაინც მოგეწყინა.
და ცას შეეკიდება დანისლული თვალი,
იქაც – ქალის დიდება! იქაც–ქალი!... ქალი! ...
მისტიკოსი გონებით – აზროვნების მწყემსი,
გულით მისტიკოსების საკბილოა ლექსი.
სხვების წარმოდგენები თარგმანებას ითხოვს,
სხვა ჯადოა მშვენებით სიღარიბის სითბო.
სილამაზით მახინჯის უხილავი ხიბლი –
გაჩენილი კარს შიგნით ჩაკეტილი იღბლით.
ეძებ ჭმუნვის მიზეზებს, რახანია ეძებ,
გესმის ამ დროს – „ვინც ეძებს, პოვნას მართლა შეძლებს“.
დალაგებულს შორი-შორს ნოტებს – გედის თავებს,
გული, გული მოითხოვს – ყური ემკითხაოს.
სმენამ მოინადირა ხევ-ხევ ქარის კვნესა,
ნისლი – თეთრი მანდილი, თვალში გიდგას დღესაც.
ჩრდილი, ჩრდილი მზიანი, ავდრიანი დარი,
გრიგალის წინ–ნიავი, ცა–გაჭრილი დანით.
ელვა. ელვის ენები. წვიმის სველი ფარდა.
ალვას შეეშველები – წაქცევაზე დამდგარს.
ვის, ვის ეგულუხვები, ვისთან გაწყობს ზავი,
დაგიმძიმდა მუხლები – ტბორი ჩადგეს ლამის.
დროა დავაკებული – დაცურებას ელი,
აღარავინ გეგულვის შეაშველოს ხელი.
ფართოვდება სამყარო, ვიკარგებით თითქოს
და ... ფარხმალი დავყაროთ თუ ღმერთს რჩევა ვკითხოთ.
დაფარულის დანახვა არის ბრმების ტვირთი –
შიში, შიში თან ახლდა, როცა ამას მიხვდი.
ვარდის რბილი ფურცელი თუ პირ-სახის ასლი,
რა ახლოდან უცქერი – ხელისგულზე დასვი.
შენი სახე სხვის თვალში, რა სხვაობას გეტყვის,
შეფაკლული რიჟრაჟით – დილის გრილი სევდით.
გშვენის , შენ რა გგონია, მომხიბლავად გშვენის –
მჩატე მელანქოლია – ბედისწერის ძღვენი.
ხილულ წარმავალობას აიოლებს ზოგჯერ,
ხიდან ჩიტის გალობა – უღრანების მორზე.
მონაზონის ფერი აქვს ამ დროს შემკრთალ მთვარეს,
ბალახები მღერიან და ღამის ნამს სვამენ.
ისადაგებ იარაღს, გაიხსნება რა რო,
ჩათვლემილი იარა – შთაგონების წყარო.
წნორი. ჭალა. ფურცელი. მოლი. ყანა. ქოხი.
რჩება დღესაც უცვლელი – თოხი! ... თოხი! ... თოხი!...
მოლზე მჩატე ვარაყი – ათინათის კვალი,
შეფარულად ამაყი – თვალი!... თვალი!... თვალი!...
ავადობით ევნები, სიყვარულს რო ახლავს,
სიზმრებს აედევნები – წახვალ !... წახვალ!... წახვალ!...
ესეც –ეპითალამა, იდუმალის სახელს,
მზერა ცრემლმა დანამა – სახეც!... სახეც!... სახეც!...
იგვიანებს არილი და ფოთლების მარში,
მოდუღარი წყალივით – ჩაშრი!... ჩაშრი!... ჩაშრი!...
თავში, თავშესაქცევად, სძინავს უკვე დრო–ჟამს,
აღარ გაძლევს არჩევანს – მორჩა!... მორჩა!... მორჩა!...
როცა აზრის ბუნება სხეულს აიჭრელებს,
ბნელში რა ეგულებათ მოცახცახე ხელებს.
ხმა – ექოსკენ წასული, შეიფერებს მღვიმეს
და სიზმრიდან ასული მორცხვად გაგიღიმებს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

23-25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებით და თბილისის მერიის მხარდაჭერით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (გუდიაშვილის ქ. № 7) თბილისის წიგნის საახალწლო ფესტივალი გაიმართება. ფესტივალი ოფიციალურად 23 დეკემბერს, 13:00 საათზე გაიხსნება.

სამი დღის განმავლობაში წიგნის მოყვარულებს ფესტივალზე უამრავი სიახლე და სიურპრიზი ელოდებათ. სპეციალურად ფესტივალისთვის, საქართველოში არსებული გამომცემლობების უმრავლესობა უპრეცედენტო ფასდაკლებით წარადგენს ახალ თუ ძველ გამოცემებს. მოაწყობს ახალი წიგნების წარდგინებებს, შეხვედრებს ავტორებთან, გაიმართება საჯარო ლექციები და, ტრადიციულად, გამომცემელთა ასოციაცია გამოავლენს ქართველი ავტორების 2016 წლის ბესტსელერებს. გარდა ამისა, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია ტრადიციულად იზრუნებს პატარა დამთვალიერებლებზე, რომელთაც ელოდებათ განახლებული საბავშვო კუთხე ახალი საახალწლო-გასართობი პროგრამით — თოვლის ბაბუა, ფიფქია, სახეზე ხატვა, თეატრალიზებული წარმოდგენები, შოუ-ვიქტორინა, ხელნაკეთი ნივთების შექმნა და სხვა უამრავი გასართობი ღონისძიება.

23 დეკემბერს, 17:30 საათზე თბილისის მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი გამართავს იმ წიგნების პრეზენტაციას, რომლებიც ცენტრის მხარდაჭერით ბოლო პერიოდში გამოიცა. ფესტივალი მიზნად ისახავს საქართველოში წიგნის კითხვის პოპულარიზაციასა და ლიტერატურული პროცესების ხელშეწყობას, საქართველოში წიგნიერებისა და განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას და საახალწლოდ ოჯახის წევრებისთვის, მეგობრებისა და ძვირფასი ადამიანებისთვის წიგნის ჩუქების ტრადიციის დამკვიდრებას. აჩუქეთ ახალ წელს წიგნი მეგობარს! შეხვდით ახალ წელს ახალი წიგნებით!

წიგნის საახალწლო ფესტივალი 23-25 დეკემბერს, ყოველდღე 11:00-დან 20:00 საათამდე, გელით ყველას საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში! ღონისძიების მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია. ღონისძიების ოფიციალური პარტნიორია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

ᲙᲕᲐᲚ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲞᲔᲠᲒᲐᲛᲔᲜᲢᲘ-2016“ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

24 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ, ახალი ამბების სააგენტო GHN-ის ორგანიზებით, 2016 წლის ადამიანებისა და კომპანიების — „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება.

2016 წელს „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები 11 ნომინაციაში დასახელდებიან. გამარჯვებულები საქართველოს მასშტაბით ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდნენ.

2016 წლის „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატები დასახელდებიან შემდეგ ნომინაციებში: წლის პოლიტიკოსი, უფლებადამცველი, ბიზნესმენი, ხელოვანი, ჟურნალისტი, სპორტსმენი (ფედერაცია), წლის პროექტი, კომპანია, ბრენდი, წლის ტელეპროექტი და „ოქროს პერგამენტის“ საპატიო ლაურეატი.

2016 წლის ადამიანებისა და კომპანიების — „ოქროს პერგამენტის“ ლაურეატობის კანდიდატების სარეიტინგო შერჩევაში მონაწილეობა 100-მა ექსპერტ-სპეციალისტმა მიიღო. სარეიტინგო შერჩევის საფუძველზე შედგა ნომინანტების სია და გამოკითხვის ანკეტა. სულ საქართველოს მასშტაბით საკონსულტაციო-კვლევითი ჯგუფის ᲞᲡᲞ-ის მიერ გამოიკითხა 2157 რესპონდენტი. ღონისძიების საინფორმაციო მხარდამჭერები არიან: რადიო „ფორტუნა“, გაზეთი“ვერსია“, გაზეთი „ქართული სიტყვა“, GHN, „მთავარი.ინფო“. „პრაიმნიუს-ჯორჯია“.

ვის წისქვილზე უშვებს წყალს ხეების ჭრა უფასოდ?..

პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე მხარი დაუჭირეს იმ კანონპროექტის შემუშავებას, რომლის მიხედვითაც, სამშენებლო კომპანიებს უნდა შეეძლოთ კერძო ტერიტორიაზე დაზიანებული ხეების მოჭრა გადასახადის გარეშე. ამის შესახებ საკანონმდებლო წინადადებით კომპანია „ემ კვადრატმა“ 15 დეკემბერს მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს. გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ეს საშიში ინიციატივაა და მასობრივი პროტესტით იმუქრებიან.

არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გარემოს დამცველი აქტივისტების ნაწილი პროტესტის დიდი ტალღის აგორებით იმუქრება. მათ უკმაყოფილებას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთი, რომ პარლამენტს სულ 5 დღე დასჭირდა კომპანია „ემ კვადრატის“ განცხადების განხილვის დასაწყებად ხეების მარტივად მოჭრის თაობაზე, და მეორე, რომ 20 დეკემბერს, გაერთიანებულ სხდომაზე სამმა კომიტეტმა — მათ შორის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტმა — მხარი დაუჭირა ამ თემაზე კანონპროექტის ინიცირებას.

„თუ სამშენებლო კომპანიები მწვანე საფარზე ზრუნავენ, ამას მივესალმებით, მაგრამ დღეს ამის ასეთი ტემპით განხილვისთვის ცალკე დეველოპერები, ცალკე პარლამენტი მიიღებს დიდ საპროტესტო ტალღას“, — ასე მიმართა პარტიზანმა მებაღეემ **ნატა ფერაძე** საპარლამენტო კომიტეტების წარმომადგენლებს.

დამსწრეთა ნაწილის პროტესტის მიუხედავად, კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს ხეების ჭრაზე კანონპროექტის ინიცირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაბამისი კომიტეტი პარლამენტის ბიუროსთან შეთანხმებით დაიწყებს „ემ კვადრატის“ მიერ შემოთავაზებულ ცვლილებებზე მუშაობას.

სწორედ ეს სიჩქარე აეჭვებს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ წარმომადგენელ ერეკლე ურუშაძეს. მისი თქმით, ეჭვი გაუჩინა სამშენებლო კომპანიების წარმომადგენელთა პასიურობამაც, რომლებიც სხდომას ესწრებოდნენ და რომელთაგანაც მხოლოდ „ემ კვადრატის“ დირექტორი გამოვიდა მოკლე სიტყვით:

„ნებისმიერი, ვისაც პარლამენტში წინადადება შეუტანია, დაადასტურებს, რომ ასე ჩქარა წინადადებები არ განიხილება, მით უმეტეს, კერძო სუბიექტებისგან შესული. მეორე მხრივ კი, უნდა ვიფიქროთ, ვინ შეიძლება იხეიროს ამ ცვლილებით, რადგან რეალურად თანხა, რომელიც „ემ კვადრატს“ დაეზოგება ხდაზიანებული ხეების მოჭრისთვის გადასახადის გაუქმების შედეგად, მიზერულია მათი პროექტების ღირებულებასთან შედარებით. ეს შეიძლება აწყობდეს ისეთ კომპანიას, რომელიც ძალაძგარეთ გეგმავს მშენებლობას და რამდენიმე ათასი ხის მოჭრა სჭირდება“.

კომპანია „ემ კვადრატის“ განცხადებაში მოთხოვნილი იყო დაზიანებული ხეების მოჭრისთვის გადასახადების გაუქმება და ხეების მდგომარეობის შეფასების მკაფიო სისტემის შემუშავება. პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ამ საკითხების ასე დაჩქარებით განხილვის მიზეზი განმარტა:

„როგორც ვიცი, ეს საკითხი, უკვე წელიწადია, განიხილება და იქიდან გამომდინარე, რომ პარლამენტი სექტემბრიდან, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო, მხოლოდ ეს არის ამ საკითხის დაჩქარებულად შემოტანის მიზეზი“.

გარემოს დამცველებისთვის ეს განმარტება საკმარისი არ არის. მათ დაეჭვებას იწვევს თბილისის მერიის მიერ შემუშავებული ცვლილებების პროექტი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** დადგენილებაში. ამ პროექტში, რომელიც მერიამ ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციას განსახილველად 2016 წლის ნოემბერში გადაუგზავნა, მოჭრილი ხეების გამო გადასახადების გაუქმებაზეა საუბარი. სანაცვლოდ კი კომპანიამ ხეები სხვაგან უნდა დარგოს. **ერეკლე ურუშაძის** შეფასებით, არ შეიძლება ეს დამთხვევა ყოფილიყო: **„რამდენად ლოგიკურია, რომ განიხილება საკითხი, მერია ესწრება და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამ საკითხზე კანონპროექტი უკვე მომზადებული აქვს?“**

სამშენებლო კომპანიების განცხადების საპასუხოდ, პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებით შევიდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივა“. ისინი პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვენ, შევიდეს კანონმდებლობაში ცვლილებები და გამკაცრდეს დედაქალაქის ტერიტორიაზე ხეების ჭრა. ორგანიზაციის წარმომადგენელი **ძეთი გუჯარაიძე** ამბობს, რომ ამ განცხადებაზე პარლამენტის რეაქციით გამოჩნდება, თუ ვისი ინტერესებია უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოსთვის — საზოგადოების თუ ბიზნესის.

გიორგი გოგუა

საქართველოს ეკონომიკა ხელისუფლებამ მოლიპულ გზაზე შეაყენა!

(მეოთხე გვერდიდან) შემოთავაზებულია დედოლარიზაციის გეგმა.

ყველას ხომ კარგად მოგეხსენებათ, რომ გეგმა დროსა და სივრცეში უნდა ითვალისწინებდეს შედეგებს?

რატომ არა აქვს მთავრობის გეგმებს პარამეტრები?

ვინმემ იცის, თუ როდის იგეგმება დოლარიზაციის ზომის შემცირება 60 %-მდე? 40 %-მდე?

თუ ხელისუფლებას მართლა უნდა რომ განახორციელოს ლარის დამკვიდრება, რატომ არ იღებს შესაბამის საკანონმდებლო აქტებს და მათ შორის კანონს ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ?

თუ ხელისუფლება ატყობს გაშიშვლება უკვე საზოგადოებრივი პრობლემაა, რატომ არ იღებს კანონს „გახდის დროის, წესებისა და ადგილის შესახებ“ და რატომ არ ადგენს მისი დარღვევისთვის სასჯელს?

თუ ხელფასებისა და პრემიების პრობლემაა, რატომ არ იქნა მიღებული ნორმატიული აქტი „ხელფასების სატარიფო ბადის შესახებ“, როდესაც ხელფასი მინისტრზე კი არ იქნება დამოკიდებული, არამედ კანონით იქნება განსაზღვრული?

უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების უმრავლესობა როგორ გადაგვარდა მევახშეებად და ამაში როგორ მონაწილეობს საზოგადოების დიდი ნაწილი. ზოგიერთი ფულს სესხულობს ბანკში და მევახშეობს. მისი ზომა ე.წ. ონლაინ სესხებთან ერთად უკვე საშიშ მასშტაბებს აღწევს. **საჭიროა კანონმდებლობა ფინანსური პირამიდების შესახებ, დეპოზიტების დაცვის შესახებ, ფიზიკური პირების გაკოტრების შესახებ...**

დაუკვირდით ციფრებს: **თუ ეკონომიკის დოლარიზაცია 80%-ია, მაშინ, ამ სეგმენტისთვის (ბევრი პირობითობის დაშვებით) ლარის გაუფასურება უფრო პოზიტივია, ვიდრე ნეგატივი. პრობლემა ლარის 20%- იან სეგმენტშია. მაგრამ თუ ამ პროცენტებს სულს ჩავბერავთ, მაშინ გამოჩნდება, რომ 80 %-ის უკან მოსახლეობის 5%-იც კი არ დგას, ხოლო 20%-ის უკან მოსახლეობის 95 %-ზე მეტია!**

ხალხს აწუხებს, რაიმე გაუგებრობა ხომ არაა მთავრობის შიგნითო. ან ვინმეს არყოფნა საქართველოში ხომ არ იქნაო ჩვენს საწინააღმდეგოდ გამოყენებული. ამასთან დაკავშირებით ერთ ფაქტზე მივაპყრობ თქვენს ყურადღებას.

მთავრობას, მიუხედავად ბევრი ნიშნისა, რომ მისი ეკონომიკური პოლიტიკის გეზი არ არის სწორი, კორექტირება არ მოუხდენია არც ერთ თავის გადაწყვეტილებაში და ყველა დაგეგმილი ქცევა შეიტანა 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში (საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 14 დეკემბერს) და მის თანამდევ კანონპროექტებში.

ამაღელვებელი დღის — 1 დეკემბრის შემდეგ დღემდე მთავრობის სხდომა რამდენჯერმე შედგა. მხოლოდ მეორე სხდომაზე გაიკეთა პრემიერმა განცხადება ლარის დევალვაციაზე, მის გაუფასურებაზე და აღნიშნა რომ **„იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, პრაქტიკულად, ყველა ვალუტა ჩვენი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნებისა, გაუფასურებულია.** თუ პროცენტებში შევხედავთ, რაზეც ჩვენი ოპონენტები ხშირად აპელირებდნენ და ეს იყო წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაციები, 100%-ზე მეტად გაუფასურდა ყველა ძირითადი ვალუტა: თურქული ლირა, უკრაინული გრივნა (200%-ზე მეტად გაუფასურდა) რუსული რუბლი (90%-ის ფარგლებში), აზერბაიჯანული მანათი (100%-ს ზევით). ქართული ლარი არის გაუფასურებული დაახლოებით 60-65%-მდე ფარგლებში“.

ნათქვამიც კი, რომელიც ხელისუფლებას ჰგონია, რომ მოსახლეობისთვის არგუმენტია, ანალიტიკოსისთვის საწინააღმდეგოს ამტკიცებს: **თუ ვალუტების გაუფასურება ხდება სხვადასხვა ზომით, ე.ი. მათი გაუფასურება მინიმუმ კორელაციაში არაა ერთმანეთთან, რატომ არ გაუფასურდა ლარი მეტად, ან ნაკლებად?! იცის ხელისუფლებამ? ისე, ამ საქმესთან არამეზობელი აშშ-ის დოლარის კურსს არაფერი კავშირი არა აქვს? ან ქართული ეკონომიკის მდგომარეობას?**

ამავე სხდომაზე „შემოაპარეს“ ქვეყნის ეკონომიკური მიზნის ახალი ვერსია: **„ყველა ნაბიჯი, რომელსაც ჩვენ ვდგამთ, არის ორიენტირებული იმისკენ, რომ გვქონდეს უფრო მაღალი განვითარების დინამიკა, ვიდრე ეს ჩვენს გარშემო არსებულ სამეზობლო ქვეყნებშია“.**

ე.ი. ეკონომიკის სწრაფი განვითარება გულისხმობს **„სამეზობლო ქვეყნების“** განვითარებაზე მეტობას(?)

რაც „ხანძრამდე“ ითქვა, ხელისუფლებამ არაფერი არ გაითვალისწინა და საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ორი დოკუმენტი: **„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“** საქართველოს კანონი (14.12.2016) და საქართველოს პარლამენტის დადგენილება **„საქართველოს 2017-2019 წლების ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ“** (16.12.2016), რომელიც სრულად განსაზღვრავს ხელისუფლების განზრახულობას 2017 წლისთვის.

საპარლამენტო უმრავლესობა ჯერ „პოლიტიკური პირველკლასელია“ და მან გუნდური ლოიალობით ყველაფერს მხარი დაუჭირა, რაც მთავრობამ წარმოადგინა. მან არ გამოიყენა ის საშუალებები (საჯაროობა, სპეციალისტების, ოპოზიციის მოსაზრება და სხვ.), რაც საშუალებას იძლევა ხელისუფლების ერთმა შტომ (მთავრობამ — ფულის მხარჯავმა) „არ გააცუროს“ მეორე შტო (საკანონმდებლო — პარლამენტი) ამ ფულის ხარჯვაზე ნებართვის მიღების დროს.

ასე გახდა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობა თანამონაწილე საქართველოს მთავრობის მიერ ჯერ კიდევ მათ არჩევამდე მიღებული გადაწყვეტილებების (რომელთაც შექმნეს სავალუტო და საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც ჯერ არ განელებულა) თანამონაწილე. უფრო მეტიც, როგორც კი 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა, იქვე მიუტანეს დასამტკიცებლად ცვლილებები 2016 წლის ბიუჯეტში, რომელიც ძირითადად მთავრობის მიერ კანონის დარღვევით საქმიანობის „უკანა რიცხვით“ დაკანონებასა (მთავრობის მიერ ვალების აღების ნორმატივის დარღვევა საქართველოს პარლამენტის ნებართვის გარეშე) და საბიუჯეტო პროგნოზის ხარვეზების გასწორებას ემსახურება. **პარლამენტი ახლა აკეთებს იმას, რომ მომავალ წელს, როდესაც 2016 წლის საბიუჯეტო საქმიანობა შეფასდება პარლამენტის მიერ, მან დაასკვნას: რაც იყო, ყველაფერი კანონს შეესაბამებოდა, მიუხედავად იმისა, რომ 11 თვე და 15 დღე კანონი ირღვეოდა!**

ხელისუფლების განზრახვა გაწერილია ბიუჯეტში:

— ის არ აპირებს „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულებას. სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ხარჯები განსაზღვრულია 0 ლარის ოდენობით!

(ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. რედ.)

— ის არ აპირებს მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკის რეალურად გატარებას — მთის ფონდი განსაზღვრულია 20 მილიონი ლარის ოდენობით (საშუალოდ 5000 ლარი ერთ სოფელზე)!

— ლარის 60%-ით გაუფასურების მიუხედავად, არ ცვლის საარსებო მინიმუმის სიდიდეს!

— „სხვა ხარჯები“ არ აქვს გაშიფრული!

— არ აპირებს ფულის ფლანგვის შეწყვეტას და უარის თქმას მმართველობის ეფექტიანობის შემზღუდველ - ორ ქალაქში პარლამენტის ფუნქციონირებაზე!

და სხვა უამრავი ნეგატივი.

მთავარი მაინც ისაა, რომ ხელისუფლებამ პირველსავე ბიუჯეტში უარი თქვა ეკონომიკის სწრაფ განვითარებაზე. ყოველ შემთხვევაში, განვითარების იმ სისწრაფით, რომელიც ბიუჯეტშია მოცემული, სიკეთეს მოსახლეობა ვერ იგრძნობს 18-20 წელიწადი (ამდენი დაჭირდება მთლიანი შიგა პროდუქტის გაორმაგებას).

20 დეკემბრისთვის 1 აშშ დოლარი ოფიციალურად ღირდა 2,7412 ლარი, ანუ ის, რაც 1 დეკემბერს 2-საათიანი კატასტროფის სახეს ატარებდა, დღეს სანატრელია, კიდევ უფრო არ გაუარესდეს. თუმცა საეჭვოა ამ ნატვრის ასრულება. თუ 1 დეკემბერს „სოლოკრატიული“ მთავრობის იმპულსურმა ქცევებმა გამოიწვია კურსის ნახტომის პროვოცირება, ახლა მიზეზი უფრო ფუნდამენტურია — ესაა პირველი სოლოკრატიული ბიუჯეტი, სადაც გამოჩნდა ხელისუფლების სახე, რომელმაც არც ხალხის აღშფოთება, არც სპეციალისტების რჩევა, არც ეკონომიკის მინიშნება (ლარის „ფასით“) არ გაითვალისწინა.

„როგორც ვიტყვი, ისე იქნებას“ პოლიტიკა ხომ უკვე იყო?

ხელისუფლებამ ჯიუტობას და „მოლოდინს“ თავი უნდა დაანებოს, სასწრაფოდ გააუქმოს ყველა საგადასახადო „ნოვაციები— ე.წ.ესტონური მოდელით დაწყებული და აქციზის გაზრდით დამთავრებული, გააუქმოს „სხვა ხარჯები“ (სახელმწიფო უშიშროებასთან დაკავშირებული ნაწილის გარდა), მოახდინოს ხარჯების ოპტიმიზაცია... ერთი სიტყვით, გადაწეროს ბიუჯეტი. მით უმეტეს, რომ იქ ყველა გაანგარიშება, თუ ასე გაგრძელდა, რეალობას აცდენილია (ბიუჯეტი გაანგარიშებულია დაშვებით, რომ 1 აშშ დოლარი 2,5 ლარის ტოლია).

შექმნილ სიტუაციაში, საკითხავი ქართული სახელმწიფოს სუვერენობის ერთ-ერთი ნიშნის — **ეროვნული ვალუტის არსებობა კი არაა მთავარი, არამედ ის, თუ ყველა შესაძლო სიტუაციაში, როგორი იქნება ქართული სახელმწიფოს ბედი, როგორ მოხდება მისი გაერთიანების, გამთლიანების, განვითარებისა და გაძლიერების უზრუნველყოფა?!**

ამ კითხვებზე საერთო პასუხი უნდა ჰქონდეს ერსა და ბერს!..

მიხეილ ჯიბუტი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

◎ ფარიკაობა

აირჩიეს ახალი პრეზიდენტი

55 დელეგატი დაესწრო ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობას, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონის – ნუგზარ ასათიანის სახელობის დარბაზში გაიმართა. განვლილ ოთხ წელიწადში გაწეულ მუშაობაზე ილაპარაკეს ფედერაციის პრეზიდენტმა არჩილ გოგელიამ, გენერალურმა მდივანმა დავით სახვაძემ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მერაბ ბაზაძემ და ფედერაციის საპატიო პრეზიდენტმა იური ოსიპოვმა.

მარცხნიდან – არჩილ გოგელია, ზაზა მჭედლიძე, იური ოსიპოვი, დავით სახვაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს, მოხმალავეთა მსოფლიოს თასს და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს, მოხმალავე ბექა ბაზაძემ 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა, სანდრო ბაზაძემ ახალგაზრდებში სამჯერ მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა, წლეულს კი რიოს ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზა. გარდა ამისა, ახალგაზრდა მოხმალავეებმა ევროპის გუნდურ პირველობებზე თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. „ქართველი მოფარიკავეები იმ მდიდარ ტრადიციას განაგრძობენ, რომელსაც ამ სახეობაში გასული საუკუნის 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი. ქართულმა ფარიკაობამ აღზარდა გენიალური მუშკეტერები – ოლიმპიური თამაშების გამარჯვებულები და მსოფლიოს ჩემპიონები ნუგზარ ასათიანი და ვლადიმერ აფციაური, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ კოსტავა, ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონები გურამ ლორთქიფანიძე და ნიკოლოზ ანდრიაძე, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე აკაკი მეიფარიანი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და თასის მფლობელები – რევაზ ცირეკიძე (იგი მელბურნის ოლიმპიადის მონაწილეცაა), მორის სახვაძე და სხვები. მათი თანამემამულეობა მეამაყებოდა და მეამაყება დღესაც, თუმცა, ისეთი პერიოდიც გვქონდა, მხოლოდ წარსული მიღწევებით რომ ვიწონებდით თავს. ბოლო წლებში ისეთი შედეგები გვაქვს, წელგამართული დავდივართ, რაც ჩვენი ფედერაციისა და ბატონ არჩილ გოგელიას დამსახურებაა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ახალგაზრდობა მომდევნო ოთხ წელიწადში უკეთესი წარმატებებით გაგვახარებს“, – აღნიშნა იური ოსიპოვმა, რომელიც თავად არის 1962 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიო სტუდენტური თამაშების სამივე სინჯის მედლის მფლობელი.

განვლილ წლებში გაწეული მუშაობის შეჯამების შემდეგ გაიმართა არჩევნები. რადგანაც ყრილობის დაწყებამდე არჩილ გოგელიამ თავისი კანდიდატურა მოხსნა, დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზაზა მჭედლიძის მომავალი ოთხი წლით ფედერაციის პრეზიდენტობას. იგი ფარიკაობის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი, მოხმალავეთა ნაკრების მწვრთნელი გახლდათ და ხმალში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია. გენერალურ მდივნად ისევ დავით სახვაძე იმუშავებს, ვიცე-პრეზიდენტებად – ირინე სხირტლაძე, მერაბ ბაზაძე და როსტომ აბაშიძე, საპატიო პრეზიდენტად – იური ოსიპოვი, ხოლო პრეზიდენტის პირად მრჩევლად არჩილ გოგელია აირჩიეს.

ლაშა დიდია

◎ პროექტი

თბილისის ტურნირში ანდრეი შევჩენკო ითამაშებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ფეხბურთის განვითარების ფონდისა და კლუბების ხელმძღვანელთა ქობულეთურ შეხვედრაზე ლევან კობიაშვილმა გაამხილა, რომ თბილისში მინი-ფეხბურთის ორი ტურნირი იგეგმება, რომლებიც პარალელურ რეჟიმში 13-15 იანვარს ახალ სპორტის სასახლეში გაიმართება.

საგანგებოდ ამ ტურნირებისთვის ახალი ხალიჩა დაიგება. პირველში პრო 1 და პრო 2 ლიგების გუნდები ითამაშებენ, რათა ზამთრის შესვენებაზე ტონუსი შეინარჩუნონ, თუმცა, მონაწილეობა სავალდებულო არ იქნება.

მეორე ტურნირი საერთაშორისო იქნება და მასში უცხოური ნაკრებები მოიწვიეს, ოღონდ მონაწილეები კლასიკური ფეხბურთის ვეტერანი ფეხბურთელები იქნებიან. ისევე, როგორც გერმანიაში, მას თბილისშიც საახალწლო-გასართობი ტურნირის დატვირთვა ექნება.

ცნობილი გახდა, რომ სფფმ მონაწილეობისთვის უეფას, თურქეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის გუნდები მოიწვია, ხოლო კიდევ ერთი გუნდის ვინაობა მალე დაზუსტდება. საინტერესოა, რომ უკრაინის ნაკრებს ანდრეი შევჩენკო უკაპიტნებს, ფინალზე კი უეფას პრეზიდენტი ალექსანდრ ჩეფერინი მოიწვიეს.

15 იანვარს ფინალს ჯერ ქართული ტურნირის მონაწილეები გამართავენ, მერე კი – საერთაშორისო ტურნირში გამოვლენილი საუკეთესოები.

გიორგი ზოთაძე

◎ წყალბურთი

„არენამ“ „ოლიმპიკში“ გაილაღა

2003-2004 წლებში დაბადებულ წყალბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატში, რომელსაც საწყლოსნო კომპლექსმა „ოლიმპიკმა“ უმასპინძლა, 10 გუნდი ჩაება.

პირველ და მეორე ეტაპებზე გამართული წრიული შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი ოთხეული, რომლებმაც მედლები გაითამაშეს: ნახევარფინალში „არენამ“ „ქუთაისი“ დაამარცხა – 13:4, „აჭარამ“ კი მინიმალური უპირატესობით „ივერიას“ მოუგო – 12:11. გადამწყვეტ პაექრობაში „არენამ“ (დიმა ჭუმბურიძე, საბა თევდორაძე, ნიკა ლაზარეიშვილი, ლუკა თავყელიშვილი, ოთარ ბეჟიაშვილი, ცოტნე ჯიბლაძე, ილია ოგანჯანოვი, დავით გორგოძე, დავით ჩხეიძე, ლუკა ჩიქოვანი, საბა გოგიჩაიშვილი, ლუკა თუხარელი, მწვრთნელები – იოსებ მაისურაძე და ნოდარ ჩხარტიშვილი) „აჭარას“ აჯობა – 8:5 და ჩემპიონობა მოიპოვა. ვერცხლის მედალი ზღვისპირელებს ერგოთ, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი „ივერიამ“ „ქუთაისს“ სძლია – 9:4.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

შენგელიას ხუთიანები

გამარჯვებათა სერიას განაგრძობს თორნიკე შენგელიას „ბასკონია“. ევროლიგაში ვიტორიელებმა ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს. ქართველი ფორვარდის გუნდმა „ბარსელონა“ დაძაბულ ბრძოლაში 65:62 დაამარცხა.

ჩვენს თანამემამულეს ბევრი არ უთამაშა. შენგელია მატჩის მეხუთე წუთზე ჩაერთო თამაშში და მოედანზე 12 წუთი გაატარა, რა დროშიც 5 ქულა, 5 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 1 პასი მოაგროვა. თორნიკემ 7-დან 2 ორქულიანი და საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი ერთხელ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც ამდენჯერვე

დაჯარიმდნენ. ბასკური კლუბის რიგებში საუკეთესო ფრანგი როდრიგ ბობუა იყო 19 ქულით, ამერიკელმა შეინ ლარკინმა კი 14 ქულა მიითვალა. ამავე მატჩში შედგა „ბასკონიას“ რიგებში ვეტერანი არგენტინელის – პაბლო პრიჯიონის დაბრუნებაც, თუმცა, იგი უქულოდ დარჩა.

„ბასკონიას“ 9 გამარჯვების წილ 4 მარცხი აქვს და მადრიდის „რეალთან“ და პირეოსის „ოლიმპიაკოსთან“ ერთად მეორე-მეოთხე ადგილებს ინაწილებს. მომდევნო მატჩი ვიტორიელებს დღეს ათენში „პანათინაიკოსთან“ ელით.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ თანამემამულე

რუსული რაგბის ქართველი მამა

გუშინ რუსული რაგბისთვის მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: ვეტერანი ქართველი მორაგბე მამუკა ლოსაბერიძე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების რაგბის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა.

საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე, რომელიც ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა, ბევრი სამუშაო საკითხი წყდებოდა, რის შემდეგაც სიტყვით გამოვიდნენ იმ მომენტში ჯერ კიდევ პრეზიდენტი ვიაჩესლავ კოპიევი, ნაკრების დამრიგებელი იური პერვუხინი და კოპიევის მოცილე მამუკა ლოსაბერიძე, ბოლოს კი თავისი სიტყვა ქვეყნის სპორტის მინისტრის მოადგილე პაველ ნოვიკოვმაც თქვა.

მთელი კონფერენციის მსვლელობისას არ შემწყდარა დებატები და კამათი, დარბაზში აპლოდისმენტებს ხმამაღალი დისკუსია ენაცვლებოდა. ორივე მხარეს თავისი არგუმენტები ჰქონდა, ხოლო როცა საქმე ხმის მიცემისკენ წავიდა, გაირკვა, რომ ორივე საპრეზიდენტო კანდიდატის საარჩევნო პროგრამაში არაერთი ნაკლი და ხარვეზია.

მოკლედ, სიტუაცია გამწვავდა და გამოცხადდა შესვენება, რომლის დროსაც წარიმართა მოლაპარაკებები, რათა მოეძებნათ კომპრომისი, რომლის არსი შემდეგი იყო: მოეხსნათ თითქმის ყველა ვიცე-პრეზიდენტი, ეს პოსტები რეგიონებისთვის გადაეცათ, ლოსაბერიძისთვის ფართო უფლებამოსილებები მიენიჭებინათ, ხოლო თანამდებობაზე კოპიევი დაეტოვებინათ.

დიალოგი უმაღლეს დონეზე წარიმართა – რუსეთის ფედერაციის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ალექსანდრ ჟუკოვის კაბინეტში. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გამოსავალს მაინც ვერ მიაგნეს. ვიაჩესლავ კოპიევის მომხრეებმა დარბაზი დატოვეს, კონფერენცია ფაქტობრივად ჩაიშალა, მაგრამ დარჩენილთა რაოდენობა სავსებით საკმარისი აღმოჩნდა კვორუმისთვის.

ჰოდა, პროცედურაც შედგა. ხმის მიცემის შედეგად, კრასნოდარის „ყუბანის“ გამოკლებით, ყველა პროფესიული კლუბის მხარდაჭერის გარეშე, მამუკა ლოსაბერიძემ არჩევნები მოიგო – 74:4, ვიაჩესლავ კოპიევს საპატიო პრეზიდენტის წოდება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო და ვიცე-პრეზიდენტებად რაის ხაბიბულინი, ფიოდორ მუსატოვი და ანდრეი შჩუკინი დანიშნა.

აქვე მცირე ინფორმაცია მამუკა ლოსაბერიძის შესახებ: დაიბადა ქუთაისში 1966 წელს, თამაშობდა „აიაში“, შემდეგ კი ფრანგულ და ესპანურ კლუბებში. ასევე იყო სსრკ-ს ნაკრების წევრი, ევროპის 3-გზის ჩემპიონი, სსრკ-ს 4-გზის ჩემპიონი, სსრკ-ს თასის 2-გზის მფლობელი.

კობა კობახიძე

შენ ჩვენთან ერთად იცოცხლებ, მეგობარო!

ბასრი კალამი სატევარივით უჭრიდა...

რუსლან რუსიას ნათელ ხსოვნას

უდროო და უსამართლო იყო თავისი დიდბუნებოვნებით მრავალთაგან გამორჩეული ამ ფრიად ზნეკეთილი ადამიანის მიწას ამოფარება. მართალია, ასეთი ადამიანები გაღმა სოფელში გასულნიც ისევ ჩვენ გვერდით რჩებიან, ჩვენ გვერდით განაგრძობენ სიცოცხლეს, მაგრამ ყოველდღიური საქმიანი შეძახილი და ცხოვრების ჭაპნის ერთად წევა მაინც სულ სხვაა!

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ იგი თავისი შემოქმედებითა და თავისი სამაგალითო ქართული ოჯახით მუდამ საქართველოს არცთუ მსუბუქად სატარებელ უღელში შებმული დარჩება და ჩვენდა არასაკადრისად დაულაგებელი ჩვენი ქვეყნის ნელ, მაგრამ მაინც ყოველდღიურ წინსვლაში ყოველთვის შეუმჩნევლად საგრძნობი იქნება რუსლან რუსიას გამწევი ძალა.

რუსლან მიხეილის ძე რუსია დაიბადა 1951 წლის 22 მარტს აბაშაში. 1969 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების საღამოს დასწრებული სწავლების განყოფილებაზე. 1970-72 წლებში მსახურობდა არმიაში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა განაგრძო აღნიშნული ფაკულტეტის დღის დასწრებული სწავლების განყოფილებაზე, რომელიც 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა.

იმავე წელს მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში. სხვადასხვა წლებში იყო ამ გაზეთის კორესპონდენტი, საკუთარი კორესპონდენტი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების და ეკონომიკის განყოფილებათა გამგე. 1990-91 წლებში მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ორგანოს — გაზეთ „რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

1992-2003 წლებში იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, პირველი მოადგილე. 2003 წლის მაისიდან კი ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორია.

2005 წელს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდმა, უფრო სწორად, ჟურნალისტთა საერთაშორისო ფონდის კომპეტენტურმა ჟიურიმ ქართულ ჟურნალისტიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რუსლან რუსია „ოქროს ფრთით“ დააჯილდოვა.

დაჯილდოებულთათვის „ოქროს ფრთის“ გადაცემის დღეს 23 ნოემბერს ფონდმა საგანგებო გაზეთი გამოუშვა.

სწორედ იმ ნომრისთვის დავწერე წერილი სათაურით „ალალია!“, რომელიც რუსლან რუსიას ჟურნალისტურ საქმიანობას მივუძღვენი. მაგრამ ისე მოხდა, რომ ვიღაცის დაუდევრობით წერილი ხელმოუწერლად დაიბეჭდა. რუსლანის მეტმა თითქმის არავინ იცოდა, რომ ის ჩემი წერილი იყო, სადაც ჩემს აღმაფრენას გამოვხატავდი ღირსეული პროფესიონალის ღირსეული დაჯილდოებისთვის.

მე თავისებურად კმაყოფილი და იქნებ გულისგულში გახარებულიც ვარ, რომ რუსლანს ეს წერილი წაკითხული აქვს და იცოდა, რა მაღალი აზრისაც ვიყავი და ვარ იმის სატევარივით მჭრელ კალამზე, რომელსაც ათეული წლების მანძილზე სიბლაგვის ნატამალი არ დასტყობია სამშობლოს სამსახურში.

დღეს ამ წერილს, უკვე ხელმოწერილს ვაქვეყნებ, რათა სხვათაც შეიტყონ ჩემი აზრი მასზე და იქნებ სიმბოლურიც არის, რომ თუ აქამდე მარტო მან იცოდა ამ წერილის შინაარსი, დღეის ამას იქით უკვე ბევრს ეცოდინება, მეტადრე ამ ჩინებული კალმოსნის ელვარე ნიჭის პატივისმცემელთ.

ჩემო რუსლან!

ჩვენ ბევრჯერ გვილაპარაკია, რომ ამქვეყნად არავინ იცის ამ უბარაქო წუთისოფლისა და სიკვდილ-სიცოცხლის იდუმალება და საიდუმლოება.

როგორც უკვე ვთქვი, შენ ერთხელ უკვე წაკითხული გაქვს ეს წერილი, რომელსაც განგებ უცვლელად ვთავაზობ საზოგადოებას, რომელსაც შენ მთელი ორმოცი წელიწადი უანგაროდ ემსახურებოდი. დაე, კვლავ ცოცხლად დარჩე საზოგადოების წარმოდგენაში.

* * *

ჩვენი საქმე, ჟურნალისტების საქმეს ვგულისხმობ, ძალიან ჰგავს, როგორც ხანდახან მეჩვენება დიდ ქალაქებში მოფუსფუსე მეეზოვეთა საქმეს, ისინი უმეტესად დილაობით ქალაქის ქუჩებსა და ეზოებს ასუფთავებენ, ჩვენ კი დილიდან საღამომდე, და ხშირად მეორე დილამდე, ცხოვრების დასუფთავება გვიწევს, რადგან, საუბედუროდ, დამსუფთავებელზე მეტი ამქვეყნად დამბინძურებელია.

ათადან-ბაბადან მომდინარე ერთ-ერთი ყველაზე მოუშორებელი სიბინძურე კი, კარგად მოგეხსენებათ, უსამართლობაა, რომლის ავი თუ შავი მოსავლითაც იკვებებიან, როგორც ბევრნი ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ისე ანგარებიანი ძლიერების მოყვარულნი.

ეს უსამართლობა, ჩვენდა სავალალოდ, ხშირად ჩვენ შორისაც მსხმოიარობს, ისევ ჟურნალისტებს ვგულისხმობ, როგორც ერთ-ერთი უძველესი ხელობის ხალხს, რომელიც ზოგჯერ არცთუ მაინცდამაინც თაკილობს მეფის ნავში ჩახტომას, თუკი, რასაკვირველია, იქამდე მიუშვეს.

ჩვენს უსამართლობას კი ხან იმითაც ვავლენთ, რომ ყოველთვის დროულად არ მივაგებთ ხოლმე ჩვენს გამორჩეულად ღირსეულ მეგობარ ჟურნალისტს უცილოდ დამსახურებულ პატივს, რაც მან ჩვენი ჭირ-ბოროტიანი ცხოვრების ყოველდღიური სიბინძურისგან გასასუფთავებლად გაწეული არცთუ იოლი შრომით მოინაგრა.

უზომოდ მიხარია, რომ ვისზეც ამ პატარა წერილს ვწერ, არაფერი მიშლის ხელს კარგი სიტყვის მოსაძებნად.

ჩემი ძველი მეგობრის, მუდამ „ახალცოცხიანი“ ჟურნალისტის რუსლან რუსიას მკერდზე „ოქროს ფრთის“ შებმა უწინარესად იმიტომ მახარებს, რომ ჩვენ, ისევ დღევანდელ ქართველ ჟურნალისტებს ვგულისხმობ, ფრთებშეკვეცილად არ ვაზროვნებთ, როგორც არასდროს სამართლიანები და მართლები ვართ ქვეყნისა და ხალხის წინაშე, მართალი კაცი კი, სწორად თქმულა, მართლაც ქვაზედაც მაგარია.

უკვე სამი ათეული წელიწადია, რაც რუსლან რუსია ქართული ჟურნალისტიკის სარბიელზე ტრიალებს, თანაც, როგორც თავის საქმეში ხელგამომავალ და კეთილად დამაშვრალ კაცზე იტყვიან, ქოჩორზე ტრიალებს, და ამ არცთუ მცირე ხნის მანძილზე არცროდის უღალატია ქვეყნისა და ხალხის უებარი წამალივით ეგზომ საჭირო სიმართლისთვის.

ამიტომაც არის მუდამ ასე ქვაზედ მაგარი, ანუ უშიშარი და გაბედული, მუზარადად ნიჭმორგებული, ხმლად ბასრკალამმოვარგებული, რაც ესოდენ აუცილებელია დღეს, როცა ახალი სამართლიანობის სახელით ყელყელაობს ახალი ბინძური უსამართლობა, როცა ამდენი მოსაცოცხი და გასაცოცხია ჩვენს გარშემო, როცა ასე ჯიუტად არა სურთ მაღლა, მეცხრე ცაზე ისევ ჩვენივე ხელშეწყობით მოკალათებულთ ჟურნალისტის გულისტკივილიანი ხმის გაგონება, როცა ქვეყნის ჭირი ისევ ჩვენივე ხელშეწყობით გაზულუქებულთათვის ღობის ჩხირად ქცეულა და დიახაც ამ ჭირით გულგასენილ ჟურნალისტს თავისი მართალი სიტყვის გამოხმაურებად მხოლოდ ერთი რამ ესმის — რამდენიც გინდა, იმდენი წერე და იკითხეო.

არადა, კარგ ქვეყანაში, ანუ მართლა დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყანაში, სადაც „მაღლა“ თუ „დაბლა“ დასტურ მამულიშვილურად ძგერს ბევრის გული, სადაც კარგ ჟურნალისტს ისევე აფიძრებს თავისი ქვეყნის ბედი, როგორც თავად კარგ პრეზიდენტს, საერთოდ არავისგან არ უნდა ისმოდეს, რამდენიც გინდა იმდენი წერე და იკითხეო, მით უფრო ქვეყნის თავკაცთაგან.

ზოგიერთმა, უკვე ზემოხსენებულ მეცხრე ცაზე მომჯდართაგან, სულ ახლახან ამაოდ სცადა რუსლან რუსიას ფრიად დროული და ფრიად მწვავე, სავარძლებში მთვლემარეთათვის ცივი შხაპის გამომაფხიზლებელი სიტყვის ბანზე აგდებაც და, საერთოდ, უგულებელყოფაც, ყოველ შემთხვევაში, თავი ისე დაიჭირა, მაგრამ ამ ვითომც თავის დაჭერასთან ერთად, მან მაინც გასცა საკუთარი თავი, ანუ აშკარა გახადა მთელი თავისი ეგრეთ წოდებული მაღალი წრის დამოკიდებულება ვიღაც-ვიღაცათაგან დონკიხოტის როლში ძალით ჩაყენებული და ამიტომ ჯერჯერობით თითქოს „ქარის წისქვილებთან მებრძოლი“ ქართული პრესის და, კერძოდ, ერთ-ერთი უძველესი ქართული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ მიმართ, სადაც რუსლან რუსიამ 1976 წლიდან როგორც უძირო ქვევრში, ალალად ჩააქცია თავისი ცხოვრების ახალგაზრდულ წლებში მოწურული ოფლი და, რომელსაც იგი უკვე თითქმის ორი წელიწადი ხდება მართლაც უშიშრად და გაბედულად, კოლეგებთან გულშეთანხმებით, როგორც პოეტი იტყოდა, მთელი ქართული პატიოსნებით რედაქტორობს, ახლა უკვე ღირსეულად „ოქროსფრთიანი“.

აქ მე განსაკუთრებით იმიტომ აღვნიშნე რუსლან რუსიას როგორც ჟურნალისტისა და რედაქტორის უშიშრობა და გაბედულობა, რომ აქამდე ჩვენს დრომდე ჩვენი გაზეთის არც ერთ წინა რედაქტორს არ გამოუჩენია ამდენი ჟურნალისტური შეუპოვრობა, რაც იქნებ იმითაც უნდა ავხსნათ, რომ არც ერთი წინა რედაქტორი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არ ყოფილა ასეთ „სოციალურ უჟანგბადობაში“. და კიდევ იმით, რომ რუსლან რუსიას, როგორც ჟურნალისტს, როგორც მოქალაქეს და მამულიშვილს, როგორც ნაღდ პროფესიონალს არ უნდა, ძალიან არ უნდა, რომ ამ თითქმის 100 წლის ქართული გაზეთის ბოლო რედაქტორი იყოს...

ამას წინათ, ერთი ჩვენი მეგობრული საუბრის დროს, სიტყვა ჩამოვარდა რომელიღაც მონასტრის ძველ ბერებზე, რომლებიც, დროისა და ცხოვრებისგან შეჭირვებულნი, მარტო ლოცვით ცდილობდნენ გადარჩენას და ყოველდღე ევედრებოდნენ უფალს, მოგვეცი ძალა და შეგვაცვლევინე, რაც ვერ აგვიტანიაო. როცა თავიანთი მდგომარეობის შეცვლა არ გამოუვიდათ, ლოცვა შეცვალეს, ღმერთო მოთმინება მოგვეცი და აგვატანინე, რაც ვერ შეგვიცვლიაო. როცა არც ეს გამოუვიდათ, კიდევ შეცვალეს ლოცვა, ღმერთო გონება გაგვინათე და ეს ორი რამ ერთმანეთში არ აგვარევინოო.

ამ ბერების ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ ამ წერილის წამკითხველს ვუთხრა, სულგანათლებული ილია ჭავჭავაძის ერთი საგულისხმო გამონათქვამის მოშველიებით, რომ რუსლან რუსიასთვის, როგორც ქვეყნის გადასარჩენად მებრძოლი, ნამდვილი ჟურნალისტისთვის ეს **ქვეყანა მარტო არც სამლოცველოა და არც სახელოსნო, უფრო სიმართლისთვის ბრძოლის ველი იყო მუდამ და სიმართლისათვისვე ბრძოლის ველად დარჩება.**

ამიტომ არის მისთვის ალალი და უსაყვედურო დღეს ეს უკვე სახელმოხვეჭილი ჟურნალისტური პრემია, რაც, ყველა სიკეთესთან ერთად, იმის მანიშნებელიც არის, რომ ქარის წისქვილებთან ბრძოლის დრო, როგორც ყოველთვის, ახლაც მალე შედეგიანი ბრძოლით უნდა დამთავრდეს. ამ შედეგში კი უწინარესად ქვეყნის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში ქართული პრესის ასევე სახელმწიფოებრივად უშუალო ჩართვას ვგულისხმობ, როცა ჟურნალისტს „ზემოდან“ იმას კი აღარ ეტყვიან, რამდენიც გინდა, იმდენი წერე და იკითხეო, არამედ ჟურნალისტის ნაწერს წაიკითხავენ, გულდასმით, გულდადებით ჩაუკვირდებიან და ჩვენი დუხჭირი ქვეყნის სამშენებლო მასალად გამოიყენებენ.

სხვა მიზანი არც ქართულ ჟურნალისტიკას ჰქონია ოდესმე და არც რუსლან რუსიას, ამ ჟურნალისტიკის ხოდაბუნის ერთ-ერთ ღონიერ და ზნეკეთილ მეგუთნეს.

გურამ გოგიაშვილი.

P. S. აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ, მართალია, ამ შეფასებას ერთი კაცი, ერთი ჟურნალისტი ვწერ, მაგრამ ეს შეფასება და ამ წერილში გამოთქმული ყველა აზრი რუსლან რუსიაზე, როგორც კალამსატევრიან ჟურნალისტზე, ჩვენი რედაქციის ყველა თანამშრომელს ეკუთვნის უკლებლივ.

და, ბოლოს, ისევ, მშვიდობით საყვარელო ძმაო და თანამოკალმევ. შენც იცოდი და ჩვენც ვიცით, რომ ჩვენი განშორება დროებითია. მანამდე კი შენ კვლავ ტოლდაუდებლად იშრომებ ჩვენთან ერთად ჩვეული შემართებითა და ერთგულებით. ამის საწინდარია ჩვენგან განუშორებელი შენი ცოცხალი ხსოვნა.

გ. გ.

სიმართლის სხივად აღმოცენდა შენი სიკეთე!

საქველმოქმედო ფონდი „იავნანას“ გამგეობის წევრები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ფონდის ერთგული მეგობრის, დამსახურებული ჟურნალისტის, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“პასუხისმგებელი რედაქტორის, გამორჩეული პროფესიონალის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, „საქართველოს რესპუბლიკას“ და მის მრავალრიცხოვან მკითხველს, ვინც დღეიდან სამწუხაროდ, ვერ წაიკითხავს ბატონ რუსლან რუსიას მიერ ჟურნალისტური პროფესიონალიზმით მომზადებულ პუბლიკაციებს, თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკაში ზნეობით და სიკეთით გამორჩეული ჟურნალისტის მართალ სიტყვას.

რუსლან რუსიას სერიოზული ავადმყოფობის შესახებ ვიცოდი, მაგრამ ასე უცებ თუ წავიდოდა ამ წუთისოფლიდან, ნამდვილად არ მეგონა. თბილი და მეგობრული, თავდადებული, მომფერებელი კაცი იყო, გული ჩამწყვიტა მისმა სიკვდილმა.

ნამდვილად აუნაზღაურებელია ასეთი ადამიანების წასვლა, ვუსამძიმრებ რედაქციას, მის ოჯახსა და საახლობლოს.

მალხაზ დოლიძე
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის
თავმჯდომარე

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი ბატონ რუსლანის უდროოდ გარდაცვალების გამო! თქვენ დაკარგეთ მეგობარი და თანამებრძოლი, ხოლო საქართველომ საქართველოს კეთილდღეობისთვის დამაშვრალი ადამიანი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ამინ!

პაგივისცემით, საქართველოს
მთლიანობისთვის დაღუპული
ორი მებრძოლის მამა
ანზორ დანელია

ჯანსულ ჩარკვიანი, არმაზ სანებლიძე, ნუგზარ ფოფხაძე მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრისა და კოლეგის

რუსლან რუსიას

გარდაცვალებას და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ვაჟა აბაკელია, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის, საძმოში გამორჩეული ერთგული ადამიანის

რუსლან რუსიას

გარდაცვალებას. მისი ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლა მართლაც დიდი ტკივილი და დანაკლისია არა მარტო მისი შესანიშნავი ოჯახის, საახლობლოსი და ნათესავ-მეგობრებისთვის, არამედ ქართველ ჟურნალისტთა დიდი საძმოსთვის. ძირძველ კოლხეთში დაბადებული და აღზრდილი, მართლაც გამორჩეული იყო თავისი ერთგულებით, სიყვარულის ულევი გრძნობითა და პატიოსნებით.

ვუსამძიმრებთ მის ოჯახსა და კოლეგებს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ჩვენი ლამაზი ძმის სული.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საქართველოს ბრწყინვალე ინტელიგენციამ კიდევ ერთი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთ-ერთი თავკაცი, ქართველი ხალხის დიდი ქომაგი და უშესანიშნავესი პიროვნება, ბატონი

რუსლან რუსია

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს, ახლობლებსა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის მთლიან შემადგენლობას.

აბელ გეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თვალსაჩინო ქართველი ჟურნალისტის

რუსლან რუსიას

გარდაცვალების გამო და გულწრფელად უსამძიმრებს როგორც განსვენებულის ოჯახს, ისე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას.

ნათელში, რუსლან!

ნაღდი კოლხური კაცობით და დიდი ნიჭითა,
გვერდით დამიდექ, სულიერად როცა მიჭირდა.
განა მხოლოდ მე,
ბევრი იხსენ ბოროტ იჭვისგან,
ვისკენაც ეშმამ ბუჩქებიდან გამოიჭვრიტა.
სიმართლის სხივად აღმოცენდა შენი სიკეთე,
და ბევრის გულში მარადისად ამოიკვეთე.

* * *

გარდაცვალება შენს სიცოცხლეს წერტილს ვერ უსვამს,
ოჯახთან ერთად ძალზე ბევრში იცოცხლებ, რუსლან...

ალექსანდრე შენგელია

დაკავებულია 53 აფთიაქის 4 ხელმძღვანელი

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ დაკავებულია ფსიქოტროპული მედიკამენტებით ურეცეპტოდ მოვაჭრე 53 აფთიაქის 4 ხელმძღვანელი პირი, ხოლო ამავე დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის 25 წევრი ბრალდებულის სახით მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში. მათ ბრალი ედებათ თვალთმაქცური გარიგების გზით სახელმწიფოს წინაშე არსებული დიდი ოდენობით ქონებრივი ვალდებულებისთვის თავის არიდება, კერძოდ:

გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოში მოქმედ და ავტორიზებულ აფთიაქებში, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული, მათ შორის, ფსიქოტროპული მედიკამენტების შესაბამისი რეცეპტის მოთხოვნის გარეშე რეალიზაციის ფაქტზე, სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო“-ს მიერ ხორციელდება აფთიაქის დაჯარიმება ადმინისტრაციული წესით. სააგენტოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ავტორიზებული ფსიქოტროპული აფთიაქის ხელმძღვანელი პირები მათ მიერ შემუშავებული დანაშაულებრივი სქემის მიხედვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სისტემატურად აგრძელებდნენ მედიკამენტების შესაბამისი რეცეპტის გარეშე რეალიზაციას მოქალაქეებზე, მათ შორის არასრულწლოვან პირებზე, რითაც ხელს უწყობდნენ ე.წ. „საფთიაქო ნარკომანიას“ და საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დადგენილია, რომ სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ მიერ დაჯარიმებული ავტორიზებული აფთიაქების ხელმძღვანელი პირები არ იხდიდნენ დაკისრებულ ადმინისტრაციულ ჯარიმას და უკვე არსებული საჯარიმო ვალდებულებისათვის თავის არიდების მიზნით, მათთან დაკავშირებული ცალკეული პირების სახელზე, უმეტეს შემთხვევაში იმავე სავაჭრო ობიექტზე არეგისტრირებდნენ ახალ შპს-ებს, რომელთა სახელზედაც თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე, გადაჰქონდათ დაჯარიმებული აფთიაქების ქონება და სასაქონლო მარაგები. შესაბამისად, დაჯარიმებული ავტორიზებული აფთიაქის ხელმძღვანელი პირები ჯარიმის გადახდის გარეშე ახალი შპს-ების სახელით მასშტაბურად აგრძელებდნენ დიდი ოდენობით ფსიქოტროპული წამლების ურეცეპტოდ გაყიდვას, იგივე თანამშრომლებითა და აქტივით, იმავე მისამართებზე.

ბრალდებულებმა სხვადასხვა პირის სახელზე რეგისტრირებული 53 ავტორიზებული აფთიაქების გამოყენებით, თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებებით, თავი აარიდეს სახელმწიფო ბიუჯეტში განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების გადახდას, ხოლო მათ მიერ მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებების დადების გზით, გადამალული ქონების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 4 639 234 ლარი.

საქმეზე გრძელდება გამოძიება, რათა გამოვლენილ იქნას სხვა ორგანიზებული ჯგუფები და აღიკვეთოს მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.

სანთელი

მეუღლე შუქურა ელბაქიძე, შვილები ნინო, ხათუნა, შვილიშვილები ბექა მაჭავარიანი, თამარ, ცოტნე წერეთლები, სიძეები დავით მაჭავარიანი, გურამ წერეთელი, ძმისშვილები, დისშვილები, ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, კოლეგები, მეზობლები, თანასოფლელები იუწყებიან

ნოდარ
ალექსანდრეს ძე
ჭიჭინაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 23XII, დაკრძალვა 24XII, 14 საათზე. სოფელ ასურეთში (თეთრიწყაროს რაიონი).

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი – შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

რედაქცია

„საქართველოს რესპუბლიკაში“

სულხან-საბას ქ. №3. 293-13-34; 599 797679

ობამას ბოლო შვებულება ჰავაიზე

თეთრი სახლის ლიდერი პრეზიდენტის რანგში ბოლო შვებულებას ჰავაიზე ატარებს. კურორტ კაპოლეიზე ბარაქ ობამა ოჯახთან ერთად იმყოფება. პრეზიდენტი თავს კითხვითა და გოლფის თამაშით იქცევს, რაც მისი საყვარელი საქმიანობაა. ობამები ვაშინგტონში იანვრის დასაწყისში დაბრუნდებიან.

ბრიტანეთის დედოფალი შეუძლოდაა

ბრიტანეთის დედოფალი საშობაო ტრადიციას დაარღვევს. ელიზაბეტ მეორე და პრინცი ფილიპი სანდრინგემში აღარ ჩავლენ. როგორც სამეფო ოჯახის პრესსამსახური იტყობინება, დედოფალი და ედინბურგის პრინცი შეუძლოდ არიან, რის გამოც საგრაფოში ჩასვლას ვერ შეძლებენ. მონარქი მეუღლესთან ერთად შობას ყოველ წელს სანდრინგემში ატარებდა, სადაც მთელი ოჯახი იკრიბებოდა.

იაპონიამ ოკინავას კუნძულის ნაწილი დაიბრუნა

შეერთებულმა შტატებმა იაპონიას ოკინავას კუნძულის ნაწილი დაუბრუნა. მიღწეული შეთანხმებით, იაპონიის მფლობელობაში 4 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი გადავა. ოკინავას კუნძულზე ამერიკის სამხედრო კონტინგენტი და ბაზებია განთავსებული. შეთანხმებას კუნძულის ნაწილის დაბრუნების შესახებ მხარეებმა 1996 წელს მიაღწიეს, თუმცა ვაშინგტონმა პროცესი 2002 წელს შეაჩერა.

ალეპოდან 30 ათასი ადამიანი გაიყვანეს

ამის შესახებ საერთაშორისო წითელი ჯვრის პრეზიდენტმა პერტა მაურერამ განაცხადა. მისივე თქმით, ქალაქში ამ დრომდე რჩება ათობით ათასი ადამიანი, რომელთა ევაკუაციის პროცესიც, სავარაუდოდ, რამდენიმე დღეში დასრულდება. ალეპოდან მოსახლეობის ევაკუაცია 15 დეკემბერს დაიწყო, თუმცა რამდენჯერმე შეფერხდა.

◎ ინტერნეტიდან

ირინა შეიკი – „სანტიაგო ბერნაბეუზე“

მადრიდის „რეალი“, მოგეხსენებათ, ერთ-ერთი იმ კლუბთაგანია, რომელსაც ქომაგობა და პოპულარობა არასოდეს აკლდა. უფრო მეტიც – „რეალი“ რამდენიმე კლუბთან ერთად მთელს ჩვენს პლანეტაზე ყველაზე ქომაგმრავალი გუნდია და ამ კუთხით მასთან ახლოს სხვები ძნელად თუ მოვლენ.

თუმცა, როგორც ჩანს, ბევრი ქომაგი საკმარისი არასოდეს არაა და მადრიდული კლუბის პიარ-მენეჯერებმა მორიგი ხრიკი მოიგონეს გუნდისადმი ინტერესის გასაზრდელად. „რეალის“ მენეჯერებმა დიდებულ რუს მოდელს ირინა შეიკს, რასაკვირველია, გარკვეული ანაზღაურების საფასურად, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ხშირად სიარული შესთავაზეს.

ბევრი საუბარი არ უნდა იმას, რომ ირინას „რეალის“ მატჩებზე დასწრება „ყვითელი“ მედიისათვის მნიშვნელოვანი საკბილო იქნება და ეს ყველაფერი ცხადია, ირინასა და პორტუგალიელი კრიშტიანუ რონალდუს ძველ რომანსაც დაუკავშირდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით შეთავაზებაზე ირინას პასუხი, უნდა ვაღიაროთ, რომ მადრიდის „რეალს“ მართლაც ნამეტნავად ეშმაკი და მახვილგონიერი პიარ-მენეჯერები ჰყოლია.

როსტომ რაჭველიშვილი

ჯობს, მოერიდოთ



კალციუმი გულისთვის მავნე ყოფილა – ეს განცხადება მეცნიერებმა იმაზე დაყრდნობით გააკეთეს, როცა გაარკვიეს, რომ იგი არტერიებში ბალთების წარმოშობას უწყობს ხელს.

განსაკუთრებით არასასურველი ყოფილა კალციუმის მიღება ასაკოვანი ხალხისთვის, რომელთა ორგანიზმს იგი სრულად ვერ გამოჰყავს, ამიტომაც ის რბილ ქსოვილებში ილექება, რაც სისხლისდენას აფერხებს და გულის შეტევის რისკს ზრდის.

თოჯინა და მადა

გოგონების ჭამის მადა, თურმე, იმაზე ყოფილა დამოკიდებული, „ფუმფულა“ თოჯინებით თამაშობენ ისინი თუ მაინც ტანკენარი „ბარბი“ ურჩევნიათ.

ექსპერიმენტის მსვლელობისას, ჰოლანდიელმა მეცნიერებმა გოგონები ორ ჯგუფად დაჰყვეს – ერთნი ბუთქუნა თოჯინებით თამაშობდნენ, მეორენი – ტანწერწეტებით.

აღმოჩნდა, რომ ჭამის დროს უფრო კარგი მადა „ბარბის“ მეგობარ გოგონებს აქვთ, „მსუქანა“ თოჯინები კი ბავშვების მადას ერთგვარად „თრგუნავენ“.

რატომ „მღერის“ ბროლი?

რატომაა, რომ ბოკალის პირზე თითის მოვლებით ნამდვილი ბროლის სასმისი მელოდიური ხმის თავისებური მელოდიის გამოცემას იწყებს, რომ იტყვიან, „მღერის“? ეს ფენომენი პირველმა, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჰალილეო ჰალილეიმ ახსნა.

ჭურჭლის პირის გასწვრივ მოძრავი თითი მის ზედაპირზე უმცირეს უსწორმასწორობებს ეხება: ის ამობურცულობას აწვება, ქვევით ცურდება და შემდეგ ის განაგრძობს მოძრაობას. ამის შედეგად ძალოვანი იმპულსების ჯაჭვი წარმოიშვება, რომელიც ბროლის მოლეკულებს ერთდროულად ორი მიმართულებით რხევას აიძულებს: ერთია გრძივი (კიდეზე), მეორე – განივი (ქვევით, ბოკალის კედლის გასწვრივ). ბროლის რხევები ჰაერს გადაეცემა, სადაც შემდეგ ტალღებად გარდაიქმნება. ხმაც სწორედ მაშინ გვესმის. სავსე და ცარიელა ბოკლები სხვადასხვანაირად „მღერიან“, რაც იმითაა განპირობებული, რომ ბგერის სიმაღლეზე სითხე მოქმედებს.

„ექსპერიმენტატორთა“ საყურადღებოდ კი იმის თქმა შეიძლება, რომ ბოკალის „ასამღერებლად“ აუცილებელია, რომ თითები იდეალურად სუფთა და ოდნავ ნამიანი იყოს.

ფერების ძალა



ამიერიდან ექიმები თავის ტკივილის მკურნალობას... ფერით აპირებენ.

აღმოჩნდა, რომ შაკიკის შეტევების 80 პროცენტი ფერების მიმართ ჭარბი აღქმადობითაა განპირობებული, მაგრამ გერმანელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ სხვადასხვა ფერი განსხვავებულად მოქმედებს. მაგალითად, ლურჯი და თეთრი ფერები თავის ტკივილს აძლიერებენ, მწვანე კი მის სიძლიერეს თითქმის 20 პროცენტით ამცირებს.

გულის „დამცველი“

მკვლევარებმა ერთობ საგულისხმო განცხადება გააკეთეს: თურმე პომიდვრები... გულს იცავენ!

ის, რომ ლიკოპინი (ესაა პიგმენტი, რომელსაც პომიდვრები შეიცავენ) ონკოლოგიურ დაავადებათა რისკს ამცირებს, მეცნიერებმა დიდი ხანია, იციან. ახალმა გამოკვლევებმა კი აჩვენა, რომ იგი ასევე ხელს უწყობს სისხლძარღვებისა და არტერიების აღდგენას, რომლებიც გულის სისხლძარღვთა დაავადებების გამოა დაზიანებული.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7846; ევრო - 2.8938;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4351;
100 რუბლი - 4.5575; თურქული ლირა - 0.7915;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5557;
1000 სომხური დრამი - 5.7862.

ამინდი 23 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-8	დღე +8
მთიანი რაიონები -	ღამე	-13	დღე +4
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-3	დღე +14
მთიანი რაიონები -	ღამე	-10	დღე +8
თბილისი:	ღამე	-4	დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE